

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



მაგისტრატურის მე-4 სემესტრის სტუდენტ შოთა შოშიაშვილის
სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

**სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი არაქონებრივი უფლებების
დარღვევა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი
წინაპირობა**

შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : **თამარ ზარანდია**
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

სარჩევი

აბრევიატურები	4
შესავალი.....	5
I. მორალური ზიანის ცნება	7
1. მორალური ზიანის ზოგადი მიმოხილვა	7
2. მორალური ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილი მიზანი	11
3. მორალური ზიანის განვითარების ისტორიული მიმოხილვა	12
3.1. მორალური ზიანის ანაზღაურება ძველი რომის სამართალში	12
3.2. მორალურ ზიანის ანაზღაურება ძველ ქართულ სამართალში	13
3.3. მორალური ზიანის ჩამოყალიბების ისტორია თანამედროვე სამართალში ..	15
4. მორალური ზიანის სუბიექტები	19
4.1. მორალური ზიანის სუბიექტთა წრის შეზღუდვა.....	21
II. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები და ნორმატიული ფარგლები.....	25
1. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი წინაპირობები	25
1.1. მართლსაწინააღმდეგო ქმედება.....	26
1.2. მიზეზობრივი კავშირი	28
1.3. ბრალი.....	30
1.4. ზიანი.....	34
2. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფარგლები.....	36
2.1. მორალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.....	36
2.2. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის სამართლებრივი ფარგლები ..	39
III. პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება.....	43
1. პირადი არაქონებრივი უფლებები	43
1.1. სახელი	46
1.2. პატივი და ღირსება.....	47
1.3. საქმიანი რეპუტაცია	50
1.4. უფლება გამოსახულებაზე	51
2. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის კანონით დადგენილი წინაპირობები.....	52
2.1. სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლებათა დარღვევა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.....	53

2.1. გამოსახულებაზე უფლების ხელყოფა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.....	54
2.3. პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის მოთხოვნის დაუშვებლობა.....	56
IV. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება.....	57
1. სხეულის დზიანებ და ჯანმრთელობსათვის ზიანის მიყენება როგორც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობა.....	58
2. სიცოცხლის უფლების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი	61
დასკვნა.....	65
ბიბლიოგრაფია.....	70

აბრევიატურები

ქართულ ენაზე:

სსკ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

გსკ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.

იხ. იხილეთ.

გვ. გვერდი.

ა.შ. ასე შემდეგ.

მუხ. მუხლი.

ტ. ტომი.

ე.ი. ესე იგი.

უცხოურ ენაზე:

HRC. Human Rights Council.

PECL. Principles of European Contract Law.

PICC. Principles of International Commercial Contracts.

შესავალი

თანამედროვე სამართლიანი სახელმწიფოსთვის დღითი დღე აქტუალური ხდება ადამიანის უფლებების წინა პლანზე წამოწევა და აღიარება, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. საზოგადოების მიერ საკუთარი უფლებების გაცნობიერებამ ხელი შეუწყო ამ უფლებების მნიშვნელოვნების ზრდას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა ახალი სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება და უკვე არსებულის გაუმჯობესება.

ადამიანის უფლებათა რიცხვში განსაკუთრებული ადგილი უკავია არაქონებრივ უფლებებს, მათ შორის, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის და ადამიანის პიროვნულობასთან დაკავშირებულ სხვა (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და ა.შ.) უფლებებს. მათი დაცვის ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს, განვითარებული, სამართლიანი სახელმწიფოებისათვის კარგად ნაცნობი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოადგენს. არაქონებრივი ზიანი ანტიკური ეპოქისთვისაც არ ყოფილა უცხო: მისი პრიმატი ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლის ძეგლებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ. რაც შეეხება მორალური ზიანის თანამედროვე გაგებას, მე - 19 საუკუნეს უკავშირდება და იგი განიხილავს ამ ზიანს "სულიერი და ფიზიკური ტანჯვის" კრილში.

მოცემული ნაშრომი სწორედ სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, „მორალურ ზიანს“ უკავშირდება. მისი მიზანია ამ კუთხით შემუშავებული სამართლებრივი რეგულაციების ანალიზი და მკითხველისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე გარკვეული წარმოდგენების ჩამოყალიბება.

სამართლებრივი კვლევა ძირითადად ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, ამასთანავე, გარკვეული პრობლემური საკითხების უკეთ აღსაქმელად გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის ელემენტები. შედარება დაფუძნებულია განვითარებული ქვეყნების სამართლის (ძირითადად გერმანიის) და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მაგალითზე. ამდენად, თემის მიზანს არ წარმოადგენს შედარებით განვითარებული ევროპული და ანგლო-ამერიკული ქვეყნების სამართლის ფონზე ქართული კანონმდებლობის უსაფუძვლო კრიტიკა.

ნაშრომში განხილულია „მორალურ ზიანთან“ დაკავშირებული ისეთი საკვანძო საკითხები, როგორცაა მორალური ზიანის ცნება, მისი განვითარების და ჩამოყალიბების ისტორია - ანტიკური პერიოდის სამართლიდან თანამედროვე სამართლამდე, ამ უფლების მქონე სუბიექტთა წრე, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი

წინაპირობები, ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები, სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემები, კონკრეტული არაქონებრივი უფლებების (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის, სახელის, პატივის, საქმიანი რეპუტაციის და სხვა) ხელყოფით გამოწვეული არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, სამართლებრივ ფარგლები და ამ თემასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

შერჩეული თემის სიღრმისეული გამოკვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა საკითხის გარშემო არსებულ მეტად აქტუალურ კითხვებს: დასაშვებია თუ არა საქართველოში ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სასამართლოს წესით?; რა კრიტერიუმებით ფასდება არამატერიალური ზიანის ოდენობა; არსებობს თუ არა ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კანონმდებლობით დადგენილი ფარგლებს შორის განსხვავება; საქართველოში ამ ინსტიტუტის არსებული მოწესრიგება ხომ არ ავლენს მსგავსებას ან განსხვავებას უცხო ქვეყნების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკასთან.

მორალური ზიანის და მისი მოთხოვნისათვის კანონით დადგენილი წინაპირობების გამოკვლევის და განხილვის აქტუალობა თანამედროვე ქართულ სამართალში გამოწვეულია ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის სიმწირითა და მათი გადაწყვეტის არაერთგვაროვანი შემთხვევებით, სამართლებრივ დოქტრინაში გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებებითა და სხვა მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ბუნდოვანს ხდიან კანონის დანაწესს და ხელს უშლიან მართლმსაჯულების განხორციელებას. ეს ყოველივე სამწუხარო ფაქტია, ამ ინსტიტუტით დაცული სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობის ფონზე. მორალური ზიანი, ხშირ შემთხვევაში, ქონებრივ ზიანზე ბევრად უარესი შედეგების მომტანია, რადგან იგი გულისხმობს ადამიანის სულიერ სამყაროში იმგვარ ჩარევას, რომელიც იწვევს ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას, რისი რესტიტუციაც, ქონებრივი ზიანისგან განსხვავებით შეუძლებელია.

I. მორალური ზიანის ცნება

1. მორალური ზიანის ზოგადი მიმოხილვა

არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობასთან ერთად განამტკიცებს მორალური, იგივე არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

მორალური ზიანი მარტივი ენით შეიძლება განიმარტოს, როგორც ადამიანის არაქონებრივი უფლებების დაცვის მექანიზმი.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას, რომელთა აღიარება, განხორციელება და დაცვა სახელმწიფოს ეკისრება. ეს უფლებები არის ის რაზეც სახელმწიფოს კეთილდღეობა და განვითარება დამოკიდებული, მათი უგულვებელყოფის პირობებში შეუძლებელია ადამიანის, როგორც ინდივიდის განვითარება და შესაბამისად საბოლოო ჯამში სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ადამიანის არაქონებრივი უფლებები აღიარებული და დაცულია ევროპის ქვეყნების სხვა და სხვა ძირითადი კანონმდებლობით, როგორცაა კონსტიტუცა და საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

თუმცა მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მხრიდან აღიარებულია ადამიანის არაქონებრივი უფლებები არ ნიშნავს, რომ არსებობს მათი დაცვის სამართლებრივი მექანიზმი, ამისთვის საჭიროა მათი დაცვისათვის აუცილებელი საკანონმდებლო რეგულაციების არსებობა. ადამიანის ამ უფლებათა დაცვის გარანტიებს წარმოადგენს სხვა და სხვა საკანონმდებლო აქტები, ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 18-ე და 413-ე მუხლები და გსკ-ს 253-ე მუხლი, რომელის შინაარსი ძალიან გავს სსკ-ს 413-ე მუხლისას.

უმუალოდ მორალური ზიანის საკანონმდებლო რეგულაციებს განხილვამდე, მართებული იქნება თუ პირველ რიგში „მორალური ზიანის“ ცნებას განვსაზღვრავთ. სამწუხაროდ ევროპის არცერთი ქვეყნის კანონმდებლობა მორალური ზიანის დეფინიციას არ იძლევა, ამიტომ მისი განმარტება სამართლებრივ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში უნდა ვეძიოთ.

ტერმინი „მორალური ზიანი“ მომდინარეობს სიტყვიდან „მორალი“, რომელიც ზნეობრიობის სინონიმად გამოიყენება და ნიშნავს ქცევის ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომელიც ადამიანის მოვალეობებს განაპირობებს.¹ თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მორალური

¹ ჩიქობავა ა., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986, იხ. ციტირება: დოლონაძე ლ., არაქონებრივი (მორალური) ზიანი ცნება, თეუსუ, 2(10), 2010, გვ. 142. (ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12778/1/Teusu_2010_N2.pdf>)

ზიანი დაკავშირებულია ფიზიკურ ან ფსიქიკურ (სულიერ) ტანჯვასთან და არა მორალური ნორმების დარღვევასთან.²

დოქტრინის თანახმად ტერმინი „ზიანის“ შეიძლება გაიმარტოს, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება, რომელიც გულისხმობს, როგორც ქონებრივ, ისე არაქონებრივ ზიანს.³

საქართველოს მსგავსად არაერთი ქვეყნის (საფრანგეთი⁴, გერმანია⁵, ინგლისი⁶) კანონმდებლობაც ერთმანეთისგან განასხვავებს ქონებრივ (მატერიალურ) და არაქონებრივ (არამატერიალურ, მორალურ) ზიანს. სამართალდარღვევის შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება ქონებრივ იგივე მატერიალურ ზიანად. ხოლო არაქონებრივ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ მოეძებნება და ამიტომ მოკლებულია ეკონომიკურ შინაარს.⁷ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთად მოიხსენიებს არაქონებრივ ზიანსა და მორალურ ზიანს მათი დეფინიცია განსხვავებულია.

დასავლეთის ქვეყნების სამართალში ტერმინი - „მორალური ზიანის“ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განსაზღვრება არსებობს. კლასიკურ ანგლო ამერიკულ სამართალში „სულიერი ზიანი“ (spiritual harm), მორალური ზიანი (Moral harm), „მორალური ზიანი“ (Moral damage), ფრანგულს სამართალში „მორალური დანაკარგი“ (Prejudice moral), ასევე იტალიის სამართალში „მორალური ზიანი“ (danno morale)⁸ ასოცირდება არამატერიალურ არაფულად, არაეკონომიკურ, არაქონებრივ ზიანთან, ანუ ანგლო ამერიკულ სამართალში და ფრანგულ სამართალში მორალური ზიანი განიმარტება, როგორც ეკონომიკურად განუზომელი ზიანი, რომელიც ადგება სხვა პირის არაფულად ინტერესს. გერმანულ სტატუტურ სამართალსა და სასამართლო პრაქტიკაში კი პირიქით დეფინიცია Schmerzensgeld „ფული ტანჯვისთვის“, ფულადი კომპენსაცია განცდებისთვის ასევე Defuhlschaden „ზიანი გრძნობებისთვის“ ტერმინთა განსხვავებების მიუხედავად მათ მაინც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ „სულიერი ზიანი“, მორალური ზიანი არც რომის სამართალითვის იყო უცხო და ძველ რომში ამ ინსტიტუტის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „ადამიანის ფსიქოფიზიკური მთლიანობისთვის

² ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, გვ. 231.

³ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 16.

⁴ Litvinoff S, Moral Damages, Louisiana Law Review, Volume 38, No. 1, 1977, p. 1. (ხელმისაწვდომია: <<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4310&context=lalrev>>)

⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფი

⁶ Youngs R., English, French & German Comparative Law, New York, 2014, p. 676-677.

⁷ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 17.

⁸ Markesinis B., Coester M., Alpa G., Ullstein A., Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law, New York, 2005, p. 91.

მიყენებული ზიანი⁹. გერმანიის მსგავს განმარტებას ატარებს „მორალური ზიანი“ ქართულ სამართლებრივ დოქტრინასა¹⁰ და სასამართლო პრაქტიკაში¹¹, მორალური ზიანი გაისაზღვრება, როგორც „ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა“. ტერმინი „ტანჯვა“ მიუთითებს მასზედ, რომ მორალური ზიანის მიმყენებლის ქმედებამ აუცილებლად უნდა პოვოს ასახვა დაზარალებულის შეგნებაში და გამოიწვიოს მისი უარყოფითი ფსიქიკური რეაქცია.¹² ანალოგიური განმარტებაა ჩამოყალიბებული ევროპულ სამართლებრივ დოქტრინაში, რომლის თანახმადაც მორალური ზიანი განმარტება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული სულიერი ტანჯვა, რომელსაც განიცდის დაზარალებული.¹³ ხოლო ზნეობრივი ტანჯვის გამომსახველად შეიძლება ჩაითვალოს ცნება „განცდები“. უცხოეთის კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკაში და მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს აერთიანებთ ის გარემოება, რომ მორალური ზიანის ინსტიტუტი უზრუნველყოფს პირისათვის მიყენებული ტანჯვის ანაზღაურებას.¹⁴ ამდენად მორალური ზიანი დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვასთან, რომელსაც ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია.

მორალური ზიანი შეიძლება გამოიხატებოდეს შიშში, დამცირებაში, უმწეობაში, სირცხვილსა და ახლობლების დაკარგვით გამოწვეულ სხვა და სხვა დისკომფორტულ განცდებში და ა.შ.¹⁵

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ „ფიზიკური ტანჯვა“ და „ფიზიკური ზიანი“ ფიზიკური ზიანის სინონიმად შეიძლება გამოყენებულ იქნეს 413-ე მუხლში ნხსენები სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანუ „ყველა ნეგატიური ცვლილება ადამიანის სხეულში“, ხოლო ფიზიკური ტანჯვა კი მთლიანად მოიცავს ცნებას „მორალური ზიანი“.¹⁶

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიძლება წარმოიშვას, ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი

⁹ *ოსაკვე კ.*, ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, *თ. შოთაძის* თარგმანი, თბილისი, 2015, გვ. 7.

¹⁰ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 413, გვ. 469.

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 01 მაისის N ას-113-108-2014 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის N ას-1064-2018 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის N ას-979-940-2014 განჩინება;

¹² *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 18.

¹³ *Popovici V.*, Contribution to the Study of Moral Damage and Its Repair in Romanian Civil Law, *Annals Constantin Brancusi U. Targu Jiu Juridical Sci. Series 103*, 2015, p. 103.

¹⁴ *დოლონაძე ლ.*, არაქონებრივი (მორალური) ზიანი ცნება, *თეუსუ*, თბილისი, 2(10), 2010, გვ. 140. (ხელმისაწვდომია: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12778/1/Teusu_2010_N2.pdf>.)

¹⁵ *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 19.

¹⁶ იქვე, გვ. 19.

შესრულებით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში (დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი ზიანი). ამის მიხედვით საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ (დელიქტურ) ზიანს.¹⁷

სასამართლო პრაქტიკის და დოქტრინის გათვალისწინებით მორალური ზიანი, როგორც წესი წარმოიშობა არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან, დელიქტის საფუძველზე. თუმცა სამოქალაქო კანონმდებლობა არ გამორიცხავს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე არაქონებრივ ზიანს.¹⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ კონვენციის 74-ე მუხლი, რომელიც ზიანის ანაზღაურების ზოგად წესს განამტკიცებს, საერთაშორისო სამართლებრივ დოქტრინაში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით იძლევა თუ არა აღნიშნული მუხლი მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად არ არის ჩამოყალიბებული. ავტორთა ნაწილი აღნიშნულს დასაშვებად მიიჩნევს¹⁹ და თავის პოზიციის გასამყარებლად პარალელს ავლებენ „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებთან“ (PECL)²⁰ და „საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებათა პრინციპებთან“ (PICC)²¹, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას პირდაპირ განამტკიცებენ.

ყოველივე ზემოდ თქმულის გათვალისწინებით „მორალური ზიანის“ ინტერპერეტაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებული ზიანი. მორალური ზიანის არსებობა ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად არამატერიალური უფლებების ხელყოფა, ფსიქიკური ტანჯვა შეიძლება გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია, ამიტომ მას არამატერიალურ ზიანს

¹⁷ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 1.

¹⁸ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 413, გვ. 471.

¹⁹ *Schlechtriem P.*, Non-Material Damage-Recovery Under The CISG?, *Peace International Law Review*, Volume 19, 2007, p. 3-4.

²⁰ Principles of European Contract Law (PECL), Article 9:501. (ხელმისაწვდომია:<https://www.trans-lex.org/400200/ /pecl/#head_145>)

²¹ Principles of International Commercial Contracts (PICC), Article 7.4.2.

(ხელმისაწვდომია:<<https://cisgw3.law.pace.edu/cisg/principles.html#NR121>>)

უწოდებენ. ამ ინსტიტუტის არსებობა ემსახურება პიროვნების არაქონებრივი უფლებების დაცვას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ქონებრივ უფლებებზე მაღლა დგას. მაგალითად ჩვეულებრივი საზოგადოების წევრი ადამიანისთვის ბევრად უფრო მძიმედ გადასატანია ახლობლის დალუპვით გამოწვეული სულიერი ტანჯვა, ვიდრე სამართალდარღვევის შედეგად განადგურებული ქონებით მიყენებული ზიანი.²²

2. მორალური ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილი მიზანი

მორალური ზიანი არის არაქონებრივი, არამატერიალური ხასიათის ზიანი, შესაბამისად ქონებრივი ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილი მიზნისგან მისი მიზანიც სრულიად განსხვავებულია. მორალურ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ მოეძებნება, ამიტომ გადამწყვეტია ამ კომპენსაციის მიზანი, რაც თავის მხრივ კამათის საგანს წარმოადგენს. თავდაპირველად მორალური ზიანის ანაზღაურების დანიშნულებად, არამატერიალური ზიანის გამოსწორება იყო მიჩნეული.²³ მოგვიანებით კი სასამართლო პრაქტიკა სხვა გზით წავიდა და მორალური ზიანის ანაზღაურების მთავარ მიზნად განცდილი სულიერი ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება²⁴ და უარყოფითი ემოციების დადებითი ემოციებით შეცვლა გამოაცხადა.²⁵ გერმანული დოქტრინის თანახმად ბრალეული პასუხისმგებლობის დროს კომპენსაციას გააჩნია მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია განცდილი ზიანისათვის, ხოლო ბრალეულობისგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის შემთხვევაში მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია უკანა პლანზე ინაცვლებს.²⁶

მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია; პირველი - დააკმაყოფილოს დაზარალებული. ხშირ შემთხვევაში დაზარალებულის მიერ განცდილი სულიერი ტანჯვის ვერ ახდენს კომპენსაციას მიღებული თანხა, თუმცა მისი მიზანი, არა განცდილი ტანჯვის ანაზღაურება, არამედ ტანჯვის შემსუბუქებაა. მორალური ზიანის საკომპენსაციო ხასიათი გამომდინარეობს იქიდან, რომ შეუძლებელია ადამიანის არაქონებრივი უფლებები (მაგ: პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია) ფულით შეფასდეს და მოხდეს მათი

²² ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბილისი, 2001, მუხ. 992, გვ. 381.

²³ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 07.10.2017, მუხ. 413, ველი 9.

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის N ას-660-660-2018 გადაწყვეტილება.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 09 ნოემბრის Nას-823-1109-09 განჩინება.

²⁶ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, პარაგრაფი 253, გვ. 136, ველი 3.

რესტიტუცია.²⁷ მეორე - ზემოქმედება მოახდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენზე და მესამე - თვიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების ერთობლიობა ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანს, რაც მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში ვლინდება.²⁸

3. მორალური ზიანის განვითარების ისტორიული მიმოხილვა

თანამედროვე სამართალში მორალური ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის შემოღება განაპირობა კონსტიტუციაში ადამიანის არაქონებრივი უფლებების განმტკიცებამ და მათი დაცვის საშუალების შემუშავების აუცილებლობამ. მორალური ზიანი სწორედ ადამიანის და იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მოქმედი მექანიზმია.

მიუხედავად იმისა რომ მორალური ზიანის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას თანამედროვე სამართალს მიაწერენ, მის პრიმატს ჯერ კიდევ ძველი რომის და ძველ-ქართულ სამართალში იყო ცნობილი.

3.1. მორალური ზიანის ანაზღაურება ძველი რომის სამართალში

მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა პრიმიტიული სახით ჯერ კიდევ ძველი რომის სამართლის სისტემებშია ხორცშესხმული, XII დაფის კანონებში გათვალისწინებული იყო ადამიანის არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლები და შესაბამისი სანქციები, კერძოდ ადამიანის სხეულის დაზიანების შემთხვევაში (მოტეხილი ძვალი, სხეულის მძიმე დაზიანება) ან ადამიანის ნებისმიერი შეურაცყოფისთვის, როგორც პიროვნების პატივის და ღირსების შემლახველი ქმედებისთვის დადგენილი იყო ჯარიმა სასჯელის სახით სხეულის დაზიანების (os fractum) გამო 300-ასი, ხოლო პიროვნების შეურაცყოფისთვის - 25 ასი.²⁹ მოგვიანებით პრეტორებმა (უმალეს მაგისტრატუსები) დაუშვეს, რომ ზიანი თავად დაზარალებულს შეეფასებინა, ისე რომ მოსამართლეს იმ ოდენობის თანხის გადახდა მიესაჯა მოპასუხისთვის რა ოდენობითაც ზიანს დაზარალებული შეაფასებდა, ან უფრო ნაკლებით თუ ამას მოსამართლე სწორად მიიჩნევდა. აღნიშნული

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 23 დეკემბრის Nას-543-518-2016 გადაწყვეტილება.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბილისი., 2007, გვ. 70. იხ ციტირება: ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 111.

²⁹ გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, 2013, გვ. 460-462.

მიდგომა უფრო სამართლიანად უნდა ჩაითვალოს, რადგან მოსამართლეს უფლება ჰქონდა თავიდან აეცილებინა უსამართლოდ დიდი ჯარიმის დაკისრება პასუხისმგებელი პირისთვის, ხოლო მოსარჩელეს შეეძლო თავად შეეფასებინა რეალური ზიანი.³⁰ ზემოთ ნხსენებ დანაშაულებს რომის სამართალი აერთიანებდა ტერმინში ინიურია (iniuria), რომელიც მოიცავდა ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ყველა სახის დანაშაულს და მხოლოდ მორალური ზიანის მსგავს დანაშაულებით არ შემოიფარგლებოდა. რომის სამართალში მსგავსი დანაშაულები დღევანდელისგან შედარებით შეზღუდული იყო იმით რომ მსგავსი ქმედება ისჯებოდა მხოლოდ მაშინ თუ იგი ჩადენილი იყო წინასწარი განზრახვით, ინიურია შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო „სიტყვითა და საქმით“. ამასთანავე სხეულის დაზიანება გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ვიდრე პირადი შეურაცხყოფა, ამიტომ ის საჯარო სახის დანაშაულად (delicta publica) ცხდებოდა, ხოლო პირადი შეურაცხყოფა კერძო პირის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად (delicta privata).³¹

ძველი რომის სამართალში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ იყო და იგი მხედველობაში მხოლოდ იმგვარ ზიანს და ინტერესს იღებდა რომლის შეფასება ფულით იყო შესაძლებელი, ხოლო მორალურ ინტერესს იგი ანგარიშს არ უწევდა.³²

რომის სამართალსი არსებული მორალური ზიანის ანაზღაურების მსგავსი ინსტიტუტის პრიმიტიულობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მისი ანაზღაურება მხოლოდ დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანის შემთხვევაში იყო შესაძლებელი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მორალურ ზიანს კი ანაზღაურების შესაძლებლობის მიღმა ტოვებდა.

3.2. მორალურ ზიანის ანაზღაურება ძველ ქართულ სამართალში

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მსგავს შესაძლებლობას ითვალისწინებდა ასევე ძველი ქართული სამართალი, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ თანამედროვე „მორალური ზიანის“ ინსტიტუტისგან საკმაოდ განსხვავებული ფორმით იყო მოცემული.

ბაგრატ კურაპალატის სამართალს წიგნის რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. აღნიშნული დანაშაულების ორი სახედ კლასიფიკაციაა შესაძლებელი.

³⁰ სურგულაძე ნ., რომის სამართლის ძეგლები (იუსტინიანეს ინსტიტუციები), თბილისი, 2002, გვ. 218-220.

³¹ მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 2012, გვ. 94-96.

³² ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 35.

პირველი კატეგორიის დანაშაულები შეიძლება გავაერთიანოთ ტერმინში „შეურაცხყოფა“. ბაგრატ კურაპალატის წინგის რამოდენიმე მუხლი სწორედ ადამიანის შეურაცხყოფელ ქმედებებს დასჯადად აღიარებდა და კანონის სახით იყო დაწერილი. მაგალითად: წიგნის 106-ე მუხლით ეპისკოპოსის გინებისთვის დაწესებული იყო ბოდშის მოხდა და ფულადი ჯარიმა ორმოცი ათასი თეთრი. ხოლო იგივე დანაშაულისათვის აზნაური ისჯებოა ბოდშის მოხდით და ოცი ათასი თეთრით. ამავე წიგნის 108-ე მუხლის თანახმად კი დიდებულს და აზნაურს მღვდელის გინებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ხოლო 109-ე მუხლი კი ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ცემისთვის აწესებდა სასჯელს.³³

დანაშაულთა მეორე კატეგორია აერთიანებდა დანაშაულებს, რომელთა შინაარსიც შეიძლება ტერმინი „ცილისწამებით“ გამოიხატოს. მაგალითად იგივე წიგნის 120-ე მუხლის თანახმად ცრუ დასმენისთვის სისხლის ფასი იყო დაწესებული. 132-ე მუხლი კი ქვეშევრომის დასმენისთვის პატრონის წინაშე სრული სისხლის ფასს ითვალისწინებდა სანქციის სახით. 145-ე მუხლი ერთი პირის მიერ მეორე პირისთვის შეურაცხყოფელი ცნობების გახმაურებას კრძალავდა, მაგალითად „შენ ცოლს ეს და ეს კაცი ყვარობს.“ თუ ასეთ ცნობას ქმედების ჩამდენი არ დაამტკიცებდა მას უნდა გადაეხადა თანხა ან შეკაზმვით დაისჯებოდა“³⁴, ხოლო 146-ე მუხლი კი ითვალისწინებდა სასჯელს გრძნეულებაში და ჯადოქრობაში ცილისწამებისთვის, თუ ცილსმწამებელ ნათქვამს ვერ დაამტკიცებდა იგი როგორც დამნაშავე დაისჯებოდა ნახევარი სისხლის საფასურით.³⁵

ბექას და ალბუღას სამართლის წიგნში და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში სასჯელი იყო დაწესებული ასევე ადამიანის სხეულის დაზიანებისთვის³⁶, თუმცა აღნიშნული მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შინაარსისგან სრულებით განსხვავდებოდა, რადგან იგი ყურადღებას არ ამახვილებდა ადამიანის მორალურ მდგომარეობაზე, 413-ე მუხლი ეხება ჯანმრთელობის ან სხეულის დაზიანების შედეგად განცდილი მსხვერპლის უარყოფით განცდებს, სულიერ ტანჯვას.

ძველ რომში არსებული „მორალური ზიანის“ პრიმატისგან განსხვავებით ძველ ქართულ სამართალში არსებული ადამიანის არაქონებრივი უფლებების დაცვის საშუალება უფრო მეტად ეხმიანება თანამედროვე „მორალური ზიანის“ ცნებას, რადგან ქართული სამართლის ძეგლებში ადამიანის შეურაცხყოფის შემთხვევაში ფულად გადასახდელთან

³³ მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2014, გვ. 275.

³⁴ იქვე, გვ. 275.

³⁵ იქვე, გვ. 274-275.

³⁶ იქვე, გვ. 274, 281.

ერთად დაწესებული იყო ასევე ბოდიშის მოხდა დაზარალებულისთვის, რაც ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე ხშირ შემთხვევაში იმაზე უკეთ მოქმედებს ვიდრე ფულადი კომპენსაცია. ქმედების ჩამდენ პირზე ამგვარი სასჯელის დაკისრება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ითვალისწინებდნენ იმგვარი ზიანის ანაზღაურებასაც, რომელის შეფასებაც ფულადი სახით შეუძლებელია.

3.3. მორალური ზიანის ჩამოყალიბების ისტორია თანამედროვე სამართალში

„მორალური ზიანის“ თანამედროვე გაგების ჩამოყალიბება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მე-19 საუკუნის შემდეგ დაიწყო. მორალური ზიანის როგორც არაქონებრივი უფლებების დაცვის საშუალების საკანონმდებლო დონეზე პირდაპირ განმტკიცება ყველაზე მეტად გაითავისა ინგლისმა. ინგლისის სამართალი მიჯნას არ ავლებს მატერილური და არამატერიალურ ზიანს შორის, ზიანის ანაზღაურებისას, ინგლისური სამართლის მიდგომა ასეთია „ყველა ზიანი უნდა ანაზღაურდეს განურჩევლად იმისა, ეს ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით, თუ ხელშეკრულების პირობების დარღვევით.“³⁷

ინგლისური სამართალი „მორალური ზიანის“ ანაზღაურებას ითვალისწინებდა, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი, ისე დელიქტიდან გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. ინგლისში „მორალური ზიანის“ ინსტიტუტი ცხოვრებისეული მოქნილობით და პრაქტიკულობით გამოირჩეოდა. იგი შესაძლებელს ხდიდა მორალური ზიანი ანაზღაურება მოეთხოვა პირს იმ შემთხვევაშიც, თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედება საფრთხეს უქმნიდა არა უშუალოდ მას არამედ სხვა პირს, თუმცა ეს საფრთხე მასზე ფსიქიკურ ან ფიზიკურ ტანჯვას იწვევდა. ამავე დროს არ იყო აუცილებელი მოსარჩელე ყოფილიყო ისეთ მდგომარეობაში, რაც მას საშუალებას მისცემდა უშუალოდ შესწრებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაშიც თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ მოსარჩელე მესამე პირისგან გაიგებდა.³⁸

მიუხედავად ინგლისში „მორალური ზიანის“ ასეთი დახვეწილი მოდელის არსებობისა ევროპის კონტიტენტზე მან რამდენადმე განსხვავებული მიმართულება მიიღო. გერმანიაში ეს ინსტიტუტი შედარებით

³⁷ *Eduard Jenks*, “A Digest of English Civil Law” Book II, Part III, 1908. p.315, 316, 326, 369; იხ. ციტირება: *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 31.

³⁸ *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 33, 35.

ნელი ტემპით ვითარდებოდა, რაც რომაული სამართლის ზეგავლენით აიხსნება.

თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს, რომის სამართალი მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას სრულიად გამორიცხავდა, რადგან რომის სამართალი უყურადღებოდ და დაუცველად არ ტოვებდა ადამიანის არაქონებრივ უფლებებს, როგორცაა პატივისა და ღირსების და ჯანმრთელობის უფლებები. შესაბამისად, არც გერმანული სამართალი, როგორც რომის სამართლის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, ახდენდა მორალური ზიანის იგნორირებას, იმგვარად რომ მათი დაცვა შეუძლებელი ყოფილიყო, თუმცა რომაული სამართალი ძირითადად ადამიანის მატერიალურ მდგომარეობას უსვამდა ხაზს და არამატერიალურ მხარეს უყურადღებოდ ტოვებდა, მსგავსი მიდგომები იყო გერმანიის მე-19 საუკუნის კანონმდებლობაში და გერმანელი მეცნიერებიც არ უწყვედნენ ანგარიშს იმას, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების დაუშვებლობა და მარტოოდენ ქონებრივი ზარალის ანაზღაურება წარსულის გამოძახილი იყო. დროის ცვლებასთან ერთად უფრო მეტი ყურადღება მიიქცია არამატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხმა გერმანიის სჯულდების ავტორებში, რამაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არამატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე შესაბამისი პარაგრაფის შეტანა განაპირობა.³⁹

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის კანონმდებლობა გერმანიაში არ ითვალისწინებდა მორალური ზიანის ანაზღაურებას, ჯერ კიდევ სამოქალაქო სჯულდების შემოღებამდე, ფაქტობრივად დაუკმაყოფილებელს არ ტოვებდნენ სარჩელებს მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი თანდათანობით აღწევდა სამოქალაქო ნორმებშიც და კანონმდებლებსაც უხდებოდათ ასე თუ ისე ანგარიში გაეწიათ მორალური ზიანის ანაზღაურების აუცილებლობისთვის. ამან თავის მხრივ გამოიწვია გერმანელ იურისტთა დაინტერესება და სჯულდების პროექტში წინადადებების წარდგენა იმის თაობაზე, რომ საკანონმდებლო დონეზე მომხდარიყო ადამიანის დასახიჩრების, ჯანმრთელობის დაზიანების, თავისუფლების აღკვეთის და პატივის შეურაცხყოფის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის განმტკიცება. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა სჯულდების იმ დროს მოქმედ 847-ე მუხლში (დღევანდელი მდგომარეობით გაუქმებულია), რომელიც ამომწურავად ჩამოთვლიდა იმ შემთხვევების რომელთა ანაზღაურებაც შესაძლებელი იყო, გარდა კანონში პირაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. 2002 წელს გერმანულ სამოქალაქო

³⁹ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 38.

კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ამოიღეს 847-ე მუხლი, რომელიც თითქმის მთლიანად განთავსდა ამავე კოდექსის 253-ე მუხლის ერთ-ერთ ნაწილში. 253-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განისაზღვრა, რომ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ფულადი ფორმით ანაზღაურდება არაქონებრივი ზიანი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი სიკეთეების ხელყოფისათვის დაწესდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.⁴⁰ ამავე ნაწილში დაემატა სექსუალური თვითგამორკვევის შელახვისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 847-ე პარაგრაფისგან განსხვავებით 253-ე მუხლმა მოიცვა სექსუალური თვითგამორკვევის ხელყოფის ყველა შემთხვევა, მიუხედავად მისი სქესისა და არ იცავს მხოლოდ ქალის უფლებებს. ამასთან, კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ შესაძლებელი გახადა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ნებისმიერი არაქონებრივი სიკეთის, მათ შორის ზოგადი პიროვნული უფლების, ხელყოფისას და არა მხოლოდ. ასევე, შესაძლებელი გახდა არამატერიალური ზიანის კომპენსირების გამოყენება ბრალეულად ზიანის მიყენების დროსაც, როცა დაზარალებული და ხელმყოფი არ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ასევე, თუ ზიანი მომატებული საფრთხის წყარომ გამოიწვია.⁴¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ასე გაჩნდა ნორმები, რომელთა გამოყენებითაც დაზარალებულს შესაძლებლობა ეძლევა ქმედების ჩამდენისგან მოითხოვოს სასამართლოს გზით მორალური ზიანისათვის შესაბამისი თანხის ანაზღაურება.

სფრანგეთში ჯერ კიდევ დიდ რევოლუციამდე გვხვდება სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დაზარალებულს მიაკუთვნებდნენ ფულად საზღაურს მორალური ზიანისათვის. მიუხედავად იმისა რომ რევოლუციას ხელი უნდა შეეწყო მორალური ზიანის დაკმაყოფილების აუცილებლობის შესახებ აზრის განმტკიცებას, სამოქალაქო კოდექსში მაინც არ იქნა გათვალისწინებული ნორმები მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ,⁴² მიუხედავად იმისა, რომ იგი რევოლუციის შედეგს წარმოადგენდა. სასამართლო პრაქტიკა კი ზიანის მომტანი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, წარიმართა როგორც მატერიალური ისე არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გზით. საფრანგეთის სასამართლოებში იმდენად

⁴⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფი.

⁴¹ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 19.

⁴² Французский гражданский кодекс 1804 года с изменениями 1939, перевод И.С. Перетерского, М. „Юр. Кзд-во“, 1941; იხ. ციტირება: ჩიკვაშვილი მ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998 გვ. 42.

ფართოდ იყო გაგებული პირადი ფასეულობათა დაცვა, რომ ცოლის ღალატით შეურაცხყოფილ ქმარსაც კი შეეძლო განეცხადებინა პრეტენზია მაცდუნებლისგან ანაზღაურების თაობაზე. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა იცნობდა ასევე ახლობელის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას მშობლების, შვილების დების ან ძმების მიერ.⁴³

საფრანგეთის კანონმდებლობაში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით არამატერიალური ზიანი არაა გამოყოფილი ზიანის ცალკე სახედ. ამიტომ, არაქონებრივი ზიანის მიყენებისას პასუხისმგებლობის საფუძვლები, ფაქტობრივად, ემთხვევა ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზოგად წინაპირობებს.⁴⁴

ამდენად, ვინაიდან და რადგანაც არამატერიალური ზიანი სასამართლო პრაქტიკიდან ნაწარმოები მოვლენაა, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას საფრანგეთის სასამართლოები სასამართლო პრეცედენტებს იყენებენ. მსგავსი მიდგომა არსებობს გერმანიაშიც. საფრანგეთში და ინგლისში გერმანიასა და საქართველოსგან განსხვავებით კანონმდებლობით არ არის დადგენილი კონკრეტული უფლებები და სიკეთეები, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც დაზარალებულს უფლება ექნება მიმართოს სასამართლოს განცდილი მორალური ზიანის კომპენსაციისათვის.⁴⁵

საბჭოთა ქვეყნების სამართლის სისტემაში არაქონებრივი ზიანი განიმარტებოდა, როგორც საბჭოთა ადამიანის ღირსების დამცირება, თუმცა მათი საკანონმდებლო დაცვა და შესაბამისი გარანტიების შექმენა საბჭოთა ქვეყნებისთვის მათ შორის საბჭოთა დროინდელი საქართველოსთვის უცნობი იყო.⁴⁶

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველო დაადგა დამოუკიდებლობის გზას და მიზნად დაისახა რეფორმების ჩატარება, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ისე ეკონომიკურ სფეროში და გზა გაეხსნა კერძო სამეწარმეო ურთიერთობებზე გადასვლას, ყურადღება მიექცა მოქალაქისა და იურიდიული პირების არაქონებრივი უფლებების სამართლებრივ დაცვას.⁴⁷

აქედან გამომდინარე ჩვენს კანონმდებლობაში დამკვიდრდა ახალი სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტი „მორალური ზიანის

⁴³ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 43.

⁴⁴ ბარამაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბილისი, 2012, გვ. 40.

⁴⁵ Honore A.M. Causation and Remoteness of Damage. In international Encyclopedia of Comparative Law, Volume 11, CH. 7. The Hague: M. Nijhoff, 1971, 108; იხ. ციტირება: ბარამაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბილისი, 2012, გვ. 41.

⁴⁶ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 13.

⁴⁷ იქვე, გვ. 14.

ანაზღაურების“ სახით. გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის პირველ რედაქციაში მორალური ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელ მე-18-ე და 413-ე მუხლებს იგივე შინაარსი ჰქონდათ როგორც მათ დღევანდელი სამოქალაქო კოდექსით აქვთ.

4. მორალური ზიანის სუბიექტები

მორალური ზიანის ცნების სიღრმისეული განხილვისათვის აუცილებელია განსაზღვრულ იქნეს ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა წრე და მათი უფლებამოსილებანი.

სსკ-ს 18-ე და 413-ე მუხლები აღიარებენ პირის უფლებას მორალური ზიანის კომპენსაციაზე. რომლებიც უზრუნველყოფენ პირთა არაქონებრივი უფლებების დაცვას, მორალური ზიანის ანაზღაურებით, თუმცა კანონმდებლობა პირადპირ არ განსაზღვრავს ამ უფლების სუბიექტთა წრეს, ამიტომ კითხვაზე „ვის შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანი?“ პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი მუხლის ან სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლი ითვალისწინებს ადამიანის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, საინტერესოა ვინ შეიძლება იყოს ამ მუხლის სუბიექტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი?. ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ ამ მუხლით დაცული უფლების სუბიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირი, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით იურიდიული პირის შემთხვევაში. დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად იურიდიულ პირს შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ისეთი უფლებები, რომელთა ქონაც მისი ბუნებიდან გამომდინარე შესაძლებელია. ასეთია მაგალითად საქმიანი რეპუტაციის უფლება.⁴⁸ თუმცა საკითხავია შეუძლია თუ არა იურიდიულ პირს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ამ უფლების ხელყოფის შემთხვევაში?.

იურიდიული პირი შეიძლება ფლობდეს არაქონებრივ უფლებებს მაგრამ ამით გამოწვეულ მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა მას არ აქვს. მორალური ზიანი დგება, როდესაც ადგილი აქვს ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვას, ასეთი ემოციები კი იურიდიულ პირს არ გააჩნია. ამიტომ მას არ შეუძლია განიცადოს ზნეობრივი ან ფიზიკური

⁴⁸ კვიციანიშვილი გ., იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2014, გვ. 68.

ტანჯვა.⁴⁹ ამის უნარი მხოლოდ ადამიანს შესწევს.⁵⁰ აქ ზიანი გაგებულ უნდა იქნეს არა როგორც მორალური ან ზნეობრივი ტანჯვის შედეგი, არამედ როგორც „ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის შელახვა ან კეთილი სახელის დაკარგვით გამოწვეული მატერიალური დანაკლისი“⁵¹, თუმცა ამ სახის ზიანი არც მატერიალურ ზიანის ცნებაში არ ჯდება, რადგან ქონებრივი ზიანისგან განსხვავებით, რომელიც როგორც წესი ქონებრივი უფლებების დარღვევის შედეგად წარმოიშობა, განსხვავდება აღნიშნული სახის ზიანისაგან, რომელიც არაქონებრივი უფლების დარღვევის შედეგადაა ნაწარმოები.⁵²

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა⁵³ დოქტრინაში გაბატონებულ პოზიციას ემთხვევა და მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა დამატებით შეზღუდვებს აწესებს. მიუხედავად იმისა, რომ დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან, იმ უფლებებში რომელიც ადამიანურ ბუნებას მოკლებულია, პირადი არაქონებრივი უფლებების (თუნდაც ეს იყოს საქმიანი რეპუტაცია) დარღვევისას მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება მას არ გააჩნია. საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტებით იურიდიულ პირს არ აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი უფლებები როგორცაა, პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის არ შეიძლება მიაღვეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, რომელსაც იურიდიული პირი მოკლებულია.⁵⁴ ამდენად მას უფლება აქვს დაიცვას თავისი

⁴⁹ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, სამართალი, N1-2, 2004, გვ. 23.

⁵⁰ Ярошенко К.Б., Гражданское право (Обязательственное право), Глава 21, часть 2, 1998, გვ. 612; იხ. ციტირება: ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, სამართალი, N1-2, 2004, გვ. 23.

⁵¹ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 25.

⁵² იქვე, გვ. 25.

⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის N ას-1011-972-2016 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის N ას-1052-1007-2014 გადაწყვეტილება;

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის N 3კ/924-01 გადაწყვეტილება.

არაქონებრივი უფლებები, თუმცა არ შეუძლია ასეთი უფლების ხელყოფის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

საქართველოს მსგავსად ევროპის ქვეყნებიც, როგორცაა: პორტუგალია⁵⁵, იტალია⁵⁶ და კოსოვო⁵⁷ აღიარებენ იურიდიული პირის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, ისეთი არაქონებრივი უფლების დარღვევის შემთხვევაში, როგორცაა საქმიანი რეპუტაცია. იურიდიულ პირს ეს უფლება გააჩნია ასევე საერთაშორისო⁵⁸ და ევროპულ⁵⁹ სასამართლო პრაქტიკაში. გერმანიაში ისევე, როგორც საქართველოში იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში უდნა ანაზღაურდეს ზოგადი წესების მიხედვით, რომელსაც ადგენს გსკ-ს 823-ე პარაგრაფი, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში (მართლწინააღმდეგობა, ბრალი, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი).

4.1. მორალური ზიანის სუბიექტთა წრის შეზღუდვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 19-ე მუხლის ბოლო წინადადება კრძალავს პატივის და ღირსების უფლების დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მას შემდეგ, რაც დაზარალებული გარდაიცვლება. შესაბამისად მე-19 მუხლი ზღუდავს რა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირთა წერეს. მსგავსი შეზღუდვა გამომდინარეობს თავად არაქონებრივი ზიანის არსიდან. მორალური ზიანი არის ადამიანის სულიერი ან ფიზიკური ტანჯვა, უარყოფითი განცდები და მისი მოთხოვნის სუბიექტიც ის პირია ვინც უშუალოდ მსგავსი უარყოფითი ემოციები განიცადა, რადგან სხვა ვერ განსაზღვრავს იმას თუ რა სახით და

⁵⁵ *Von Bar C.*, The Interaction of Contract Law and Tort and Property Law in Europe, Munich, 2004, p.109. (ხელმისაწვდომია: <https://zodml.org/sites/default/files/%5BChristian_Von_Bar%2C_Ulrich_Drobni%5D_The_Interactio_0.pdf>)

⁵⁶ *Markesinis B., Coester M., Alpa G., Ullstein A.*, Compensation for Personal injury in English, German and Italian Law, New York, 2005, p. 93.

⁵⁷ *Dauti A.*, Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, *Acta Universitatis Danubius*, Volume 13, no. 3, 2017, p. 114. (ხელმისაწვდომია: <<http://journals.univ-danubius.ro/index.php/juridica/article/view/4385/4297>>)

⁵⁸ *Dumberry P.*, Satisfaction as a Form of Reparation for Moral Damages Suffered by Investors and Respondent States in Investor-State Arbitration Dispute, *Jurnal of International Dispute Settlement*, 2012, p. 4-5;

Lawry-White M., Universality and Cosmopolitanism: Some Insights from the World of Moral Damage, *Cambridge Journal of International and Comparative Law*, N (3)3, 2014, p. 741.

⁵⁹ *De Salvia M.* Case Studies of the European Court of Human Rights. Guiding principles of the jurisprudence relating to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms / De Salvia M. - Legal Center Press, 2004. - 1265 p.; იხ. ციტირება: *Nechay O. D.*, Peculiarities of Compensation for Moral Damage in Unconventional Obligations, *the Jurnal of Eastern European Law*, N47, 2018, p. 144. (ხელმისაწვდომია: <http://easternlaw.com.ua/wp-content/uploads/2018/01/nechay_47.pdf>)

ოდენობით უდნა იქნეს დაყენებული სასამართლოში მოთხოვნა.⁶⁰ „მორალური ზიანი პიროვნული უფლების ხელყოფით გამოწვეული ზიანია და სწორედ ამიტომ აქვს მისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ სუბიექტს“⁶¹. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სასამართლო პრაქტიკა⁶² ამ საკითხთან დაკავშირებით ერთნაირია და მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას გამორიცხავს, თუკი დაზარალებული პირი უკვე გარდაცვლილია. სსკ-ს 19-ე მუხლის მსგავს შინაარს ატარებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პრიმა პუნქტიც.

ყურადსაღებია გერმანიის სამართლის მიდგომა ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან არაერთი პარალელის გავლება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობასთან და არ არსებობს მისი არ გაზიარების საფუძველი. გერმანული სამართლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშვება, რადგან არამატერიალური ზიანის ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების ფუნქცია დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ვერ შესრულდება. ასეთ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია ახლო ნათესავს, როდესაც გარდაცვლილი პიროვნების დაცული უფლების დარღვევა ასევე შეეხო ნათესავის პირად უფლებებს.⁶³

სხვაგვარადაა საქმე, თუ მორალური ზიანი გამოწვეულია ახლო ნათესავის დაღუპვის შედეგად განცდილი სულიერი ტანჯვით. დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად მისი ანაზღაურება შესაძლებელი უნდა იყოს, რადგან ხშირ შემთხვევაში ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტანჯვა ბევრად უფრო მძიმედ გადასატანია, ვიდრე ქონებრივი ზიანი⁶⁴, საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკაში ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა ასრებობს გადაწყვეტილებებში სასამართლო განმარტავს, რომ ოჯახის წევრის (ახლო ანთესავის) გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის Nას-1433-1531-04 განჩინება. იხ. ციტირება: *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 24.12.2017, მუხ. 19, ველი 6.

⁶¹ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 24.12.2017, მუხ. 19, ველი 6.

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 იანვრის N ას-1268-2018 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის Nას-786-753-2016 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის N ას-113-108-2014 გადაწყვეტილება;

⁶³ *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, *თ. დარჯანიას* და *ზ. ჭეჭელაშვილის* თარგმანი, თბილისი, 2014, პარაგრაფი 823, გვ. 636, ველი 17.

⁶⁴ *ჩიკაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 28.

მსგავსი ზიანის ანაზღაურების უფლება კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.⁶⁵ უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელ პრაქტიკაში მოიპოვება აგრეთვე იმგვარი გადაწყვეტილებები⁶⁶, რომლითაც სასამართლო ოჯახის წევრის დაღუპვით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აკმაყოფილებს, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება არსებითად მცდარია, რადგან სსკ-ს 413-ე მუხლით დადგენილ ფარგლებს ცდება.⁶⁷ ახლობლის გარდაცვალებით მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ზნეობრივი ან სულიერი ტანჯვა მოჰყვა ახლო ნათესავის დაღუპვის გამო დარდით გამოწვეულ ჯანმრთელობის ვნებას ან სხეულის დაზიანებას, ასეთი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველი კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომლის გამოყენებისთვისაც საჭიროა სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად განცდილი სულიერი ან ზნეობრივი ტანჯვის არსებობა და ყურადღება არ ექცევა იმას თუ სხეული ან ჯანმრთელობის უფლებები რა ხერხით იქნა დარღვეული, ახლო ნათესავის დაღუპვით გამოწვეული დარდით თუ არასწორი მკურნალობით. საქართველოს სასამართლო მიდგომებისგან განსხვავდება გერმანიის სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვით თუ ახლო ნათესავის დაღუპვით გამოწვეული სულიერი ტანჯვა გამოიწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას (ფსიქიკურ პრობლემებს), დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია.⁶⁸ მნიშვნელოვანია ასევე ადამიანის უფლებათა კომიტეტის (HRC) განმარტება, რომ სულიერი ანდა ფსიქიკური ტანჯვა, გამოწვეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად პირის გარდაცვალებით, ექვემდებარება ანაზღაურებას.⁶⁹

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის N ბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის N ას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრს N ას-979-940-2014 გადაწყვეტილება.

⁶⁷ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 03.10.2017, მუხ. 413, ველი 6.

⁶⁸ *Von Bar C.*, *The Interaction of Contract Law and Tort and Property Law in Europe*, Munich, 2004, p.91. (ხელმისაწვდომია: <https://zodml.org/sites/default/files/%5BChristian_Von_Bar%2C_Ulrich_D_robni%5D_The_Interactio_0.pdf>)

⁶⁹ *მესხიშვილი ქ.*, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხივლის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 103.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ მე-19 მუხლი კრძალავს გარდაცვლილი ადამიანის მიერ სიცოცხლეში განცდილი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გადასვლას მის ნათესავებზე ან სხვა პირებზე. იმ მოტივით, რომ შეუძლებელია შესრულდეს არამეტერიალური ზიანის კომპენსაციის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, დაზარალებულის ფიზიკური ან სულიერი ტანჯვის შემსუბუქება და უარყოფითი ემოციების დადებითით შეცვლა. აღნიშნული მოწესრიგება უნდა განვასხვაოთ ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანისაგან, რომელიც მე-19 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისაგან განსხვავდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სსკ-ს 413-ე მუხლის პირველი ნაწილი გამორიცხავს.

II. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები და ნორმატიული ფარგლები

1. მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი წინაპირობები

მორალური ზიანის ანაზღაურების ცალკეული შემთხვევების განხილვამდე აუცილებელია მისი ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლების ანალიზი. მორალური ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, თუმცა კანონმდებლობაში და სასამართლო პრაქტიკაში უფრო გავრცელებულ შემთხვევას დელიქტიდან გამოწვეული არაქონებრივი ზიანი წარმოადგენს, ამიტომ მართებული იქნება თუ სწორედ ამ კუთხით განვითარდება მსჯელობა, წინამდებარე ნაშრომში.

ადამიანი საკმაოდ ხშირად განიცდის ფიზიკურ თუ ზნეობრივ ტანჯვას. მორალური ზიანი შეიძლება სრულიად უმნიშვნელო ქმედებამაც გამოიწვიოს, მაგალითად საზოგადოებრივ ტრანსპორტში მხარის გაკვრა და ა.შ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ ასეთი შემთხვევის არსებობისას უფლება აქვს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. მოცემული უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.⁷⁰ ასეთი საფუძველს კი, პირველ რიგში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი წარმოადგენს, რომელიც დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ზოგად წინაპირობებს განსაზღვრავს. აღნიშნული მუხლი ვრცელდება, როგორც ქონებრივ ისე არაქონებრივ ზიანზე. მაგალითად როდესაც დაზარალებული ითხოვს ჯანმრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე აუცილებელია, რომ არსებობდეს ასევე სსკ-ს 992-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები (ზიანი, მართლსაწინააღდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი).⁷¹ სსკ-ს 992-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების მსგავსი მოთხოვნებია დადგენილი გერმანული კანონმდებლობით, გსკ-ს 823-ე პარაგრაფი განამტკიცებს დელიქტიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საშუალებას, რომლის გამოყენებისთვისაც აუცილებელია დადგინდეს ზიანის არსებობა, ქმედების

⁷⁰ *ბარამაძე ნ.*, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ადამიანი და კონსტიტუცია, N3, 2005, გვ. 68.

⁷¹ *ბიჭია მ.*, დაზარალებულის გარდაცვალებით წარმოშობილი იურიდიული შედეგები, სამართალი და მსოფლიო, N4, 2016, გვ. 54.

არამართლზომიერება, მიზეზობრივი კავშირი ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი.⁷²

1.1. მართლსაწინააღმდეგო ქმედება

სსკ-ს 992-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც გულისხმობს „სხვისი სუბექტური უფლებების ყოველგვარი დარღვევა შესაბამისი უფლებამოსილების არქონის შემთხვევაში.“⁷³ არამართლზომიერი ქმედება ჩადენა შესაძლებელია, როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით.⁷⁴ უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს თუ ზიანის მიმყენებელს კანონით ვალდებული იყო ემოქმედა და არ იმოქმედა.⁷⁵

მართლსაწინააღმდეგო ქმედება განიმარტება, როგორც სამართალდარღვევას ანუ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება. ხელშეკრულების პირობების დარღვევაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებადაა მიჩნეული.⁷⁶ შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის როგორც სხვა სახის ზიანის შემთხვევაში აუცილებელია, რომ ზიანი გამოწვეული იყოს არამართლზომიერი ქმედებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი ზიანი არ ანაზღაურდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემოწმებულ უნდა იქნეს. ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება, თუ ზიანის გამომწვევი მოქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა, მაგალითად სხვისი ჯანმრთელობის დაზიანება

⁷² კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, პარაგრაფი 823, გვ. 623 და შემდგომი, ველი 1 და შემდგომი.

⁷³ ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 112.

⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ. 56; იხ. ციტირება: ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 112.

⁷⁵ ჩიკაშვილი მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბილისი, 2001, მუხ. 992, გვ. 380; ასევე იხ. Judgment of the General Court (Fourth Chamber) of 29 April 2015 Case: T-217/11, Claire Staelen v European Ombudsman, (ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1562498451241&uri=CELEX:62011TJ0217>>)

⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის N ას-155-145-2017 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის N ას-1105-2018 განჩინება.

ან სხვა საგანგებოდ დაცული უფლებების (სოცოცხლის, საკუთრება, ფიზიკური ხელშეუხებლობა) დარღვევა.⁷⁷

კანონმდებლობა იცნობს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამომრიცხავ გარემოებებს. მაგალითად თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მას არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რადგან ასეთი ქმედება მართლზომიერია.⁷⁸ მსგავს დათქმას ითვალისწინებს სსკ-ს 117-ე მუხლი, რომელიც უკიდურესი აუცილებლობით ჩადენილ ქმედებას ეხება. აღნიშნული მუხლის თანახმად, იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სხვა საშუალებით ვერ ქინებოდა აცილებული მართლზომიერია, მაგრამ თუ დამდგარი ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებმნიშვნელოვანია ზიანის მიმყენებელს მისი ანაზღაურება მაინც ეკისრება. ზოგ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი შეიძლება მოქმედებდეს სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გადავა იმ პირზე ვისი ინტერესების გამოც შეილახა დაზარალებულის უფლებები.⁷⁹ მსგავს დანაწეს შეიცავენ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 227-ე და 228-ე პარაგრაფები. გსკ-ს 227-ე პარაგრაფის თანახმად აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული ქმედება ითვლება მართლზომიერ ქმედებად. ხოლო 228-ე მუხლი ეხება უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში ჩადენილ ქმედებას, რომლის თანახმად უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში ჩადენილი ქმედება არ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ და არ წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება თუ დაცული სიკეთე მიყენებული ზიანის პროპორციულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სსკ-ს 117-ე მუხლში საუბარია ზოგადად ზიანზე, ხოლო გსკ-ს 228-ე პარაგრაფში საუბარია მხოლოდ ნივთის დაზიანებაზე.

ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი არ არის დამოკიდებული ქმედების ჩამდენის ცნობიერების ხასიათზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობა არ შეიძლება გამოირიცხოს მხოლოდ იმიტომ, რომ ქმედების ჩამდენმა არ იცოდა მისი ქმედების არამართლზომიერი ხასიათის შესახებ.⁸⁰

⁷⁷ *ძლიერიშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 112.

⁷⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლი.

⁷⁹ *ბიჭია მ.*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2016, გვ. 101.

⁸⁰ *ძლიერიშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 112.

1.2. მიზეზობრივი კავშირი

სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემდეგ წინაპირობას წარმოადგენს არამართლობიერ ქმედებასა და არაქონებრივ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა. მიზეზობრივი კავშირი გულისხმობს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ უშუალოდ უნდა გამოიწვიოს ზნეობრივი ტანჯვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ არამართლობიერი ქმედება უნდა იყოს მორალური ზიანის მიყენების აუცილებელი მიზეზი.⁸¹ ამდენად მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა უსწრებდეს ზიანის დადგომის ფაქტს წინ და პირველი წარმოშობდეს ამ უკანასკნელს.⁸² მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში მოიაზრება ასევე ხელშეკრულების პირობების დარღვევა⁸³, ამიტომ თუ ხელშეკრულების პირობების არ შესრულებას მოყვება არაქონებრივი ზიანი და მათ შორის მიზეზობრივი კავშირი დადგინდება ასეთი ზიანი უნდა ანაზღაურდეს.⁸⁴

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია⁸⁵ და ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული.⁸⁶ აღნიშნული განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლში. იმისათვის, რომ ზიანის მიმყენებელს დაეკისროს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო პასუხისმგებლობა ამისთვის აუცილებელია შემოწმდეს წარმოადგენს თუ არა ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების უშუალო შედეგს.⁸⁷ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობისთვის დანარჩენ

⁸¹ ბიჭია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2016, გვ. 102.

⁸² Советское гражданское право под ред. Грибанова В.П. и Корнеева С.М., т.1, М., 1979, 41; იხ. ციტირება: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009, გვ. 83.

⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის N ას-155-145-2017 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის Nას-1105-2018 განჩინება.

⁸⁴ Palmer V. V., The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015, p. 120.

⁸⁵ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 413, გვ. 368.

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 04 აპრილის N ას-1322-2018 განჩინება; ასევე იხ. Judgment of the General Court (Fourth Chamber) of 29 April 2015 Case: T-217/11, Claire Staelen v European Ombudsman.(ხელმისაწვდომია:<<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1562498451241&uri=CELEX:62011TJ0217>>)

⁸⁷ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999, გვ. 68.

სამ (ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი) ძირითად ელემენტთან ერთად აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობაც კუმულატიურად.⁸⁸

სამართლის ისტორიაში არაერთი მიზეზობრივი კავშირის თეორია იქნა შეიმუშავებული, როგორცაა: აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია; ექვივალენტურობის თეორია; უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორია და ა.შ.⁸⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას ანიჭებს.⁹⁰ მიზეზობრივი კავშირის თეორიის თანახმად ზიანის მიმყენებელს მხოლოდ მაშინ ეკისრება პასუხისმგებლობა ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადექვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან, ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მათ შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა ობიექტური შეფასებით ეჭვს არ იწვევს.⁹¹

საინტერესოა ზიანის ანაზღაურების ამ ელემენტის როლი უცხოულ კანონმდებლობაში. გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა ქართული და ანგლო-ამერიკული ქვეყნების⁹² მსგავსად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად გამოყოფს „მიზეზობრივ კავშირს“. გერმანიის საქმოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზიანი.“

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი⁹³ და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნები (ინგლისი)⁹⁴, ისევე როგორც საქართველოს სამოქალაქო

⁸⁸ *Саргис С. Г.*, Возмещение Морального ущерба в Результате Неправомерных Действий Медицинских Работников, История, философия, экономика и право, Н. 2, 2015, с. 3, (ხელმისაწვდომია: <<http://ifex.ru/>>)

⁸⁹ *ძლიერიშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 113.

⁹⁰ იქვე, გვ. 113.

⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 18 იანვრის N3კ/1184-01 გადაწყვეტილება.

⁹² Sobczak F., A Comparison between Dutch and English Laws with Regard to the Problem of Multiple Causation in Asbestos-Related Cases, European Review of Private Law, Volume 18(6), 2010, p. 1161-1162. (ხელმისაწვდომია: <[https://www.beeradvocaten.nl/pdf/FS_Publication_ERPL_2010_18\(6\)_Proportionality_in_Tort_Law.pdf](https://www.beeradvocaten.nl/pdf/FS_Publication_ERPL_2010_18(6)_Proportionality_in_Tort_Law.pdf)>)

⁹³ *კროპკოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. *დარჯანიას* და ზ. *ჭეჭელაშვილის* თარგმანი, თბილისი, 2014, პარაგრაფი 249-253, გვ. 124. ველი 12-14.

⁹⁴ *Sobczak F.*, A Comparison between Dutch and English Laws with Regard to the Problem of Multiple Causation in Asbestos-Related Cases, European Review of Private Law, Volume 18(6), 2010, p. 1161-1162. (ხელმისაწვდომია: <[https://www.beeradvocaten.nl/pdf/FS_Publication_ERPL_2010_18\(6\)_Proportionality_in_Tort_Law.pdf](https://www.beeradvocaten.nl/pdf/FS_Publication_ERPL_2010_18(6)_Proportionality_in_Tort_Law.pdf)>)

კანონმდებლობა, იყენებენ ექვივალენტური მიზეზობრივი კავშირის ფორმულას (conditio-sine-qua-non), რომლის თანახმადაც ყველა პირობა ზიანის დადგომისათვის თანაბარმნიშვნელოვანია, ამიტომ ამ წესის გამოყენებით შესაძლებელია სრულიად უცხო ზიანიც იქნეს შერაცხული.⁹⁵ ექვივალენტური მიზეზობრივი კავშირის ფორმულა გამოიყენება აგრეთვე ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემებში, ინგლისის და ნიდერლანდების კანონმდებლობაში.

ექვივალენტური მიზეზობრივი კავშირის ფორმულა მიზეზობრივ კავშირს ფართოდ განსაზღვრავს, ამიტომ ამ ფორმულის გამოყენებით მიზეზობრივი კავშირი შეიძლება დადგინდეს ობიექტური შეფასებით წარმოუდგენელი მიზეზის შემთხვევაშიც. მაგალითად ავტოავარიის შედეგად დაზარალებულისთვის ლატარიის ბილეთის ყიდვის შესაძლებლობის მოსპობა და ამით მოგების შანსის დაკარგვა.⁹⁶ ასეთი ზიანის დადგომის ვარაუდი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენისგან, ობიექტური შეფასებით, წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ ექვივალენტობის თეორია იზღუდება შერაცხადობით (Zurechenbarkeit). შედეგად საუბარია ადექვატურ კაზუალობაზე, რომელიც მიზეზობრიობის არსებობას აღიარებს, მხოლოდ ობიექტურად გათვალისწინებული გარემოებებიდან გამოწვეულ ზიანზე.⁹⁷

1.3. ბრალი

რომის კლასიკური ეპოქიდან მოყოლებული დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ბრალის უნივერსალური ფორმულა: პიროვნებას პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მისი ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანისათვის. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს, როგორც სახელშეკრულებო ისე დელიქტურ სამართალში.⁹⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მსგავსი მოთხოვნაა დაწესებული სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლშიც სადაც დელიქტური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას განზრახი ან გაუფრთხილებელი

⁹⁵ *ლუთრინგჰაუსი პ.*, დელიქტური სამართალი (მოკლე კონსპექტი), *კილურადე ქ.*, თბილისი, 2011, გვ. 19. (ხელმისაწვდომია: <<http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-civil-law-articles.pdf>>).

⁹⁶ იქვე, გვ. 19.

⁹⁷ იქვე, გვ. 19.

⁹⁸ *Варкалло В.*, Об ответственности по гражданскому праву, М., 1978, 100. იხ. ციტირება: *ქობაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009, გვ. 83.

ქმედების არსებობა წარმოადგენს. აღნიშნული ძალიან ჰგავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე და 823-ე პარაგრაფების პირველ ნაწილებს. 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოვალეს პასუხისმგებლობა ზიანისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება თუ იგი გამოწვეულია მისი განზრახი ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედებით, აღნიშნული წესი არ მოქმედებს თუ კანონმდებლობით დადგენილია უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა, ან სხვა რამ გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან. ხოლო 823-ე პარაგრაფი კი სსკ-ს 992-ე მუხლის მსგავს დანაწეს იმეორებს. ამერიკულ სამართალში ბრალი გერმანიის და საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით, ძირითადად განიხილება დელიქტურ სამართალში, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამერიკულ სახელმწიფოებში სამართალში პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის სრულიად საკმარისია ხელშეკრულების პირობების დარღვევა და ბრალის არსებობაზე მითითება არ არის საჭირო.⁹⁹ აღსანიშნავია, რომ ვალდებულების დარღვევისათვის საქართველოს სამოქალაქო სამართალში გათვალისწინებული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, თითქმის გერმანიაში არსებულის იდენტურია.¹⁰⁰

თანამედროვე პოზიტიური სამოქალაქო სამართალში ბრალის ცნება არ არის განმტკიცებული ამიტომ მისი შინაარსი სამართლებრივ დოქტრინაში უდნა ვეძიოთ. დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად ბრალის ცნებაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვისთვის ჩვეულებრივი ყურადღებიანობის მოთხოვნების დაცვა.¹⁰¹ იმისათვის, რომ შესაბამის პიროვნება სუბიექტურად შეერაცხოს, საჭიროა გაირკვეს, გამოავლინა თუ არა მან ნამდვილი მეურნისათვის, ჭეშმარიტი მესაკუთრისთვის დამახასიათებელი მზრუნველობა.¹⁰²

სამოქალაქო სამართალში ბრალის ორ ფორმას გამოყოფენ: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. სამოქალაქო სამართალი განზრახვას განმარტავს სისხლის სამართლის მსგავსად, რომლის თანახმადაც განზრახვა განიმარტება როგორც მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი, ანუ შედეგის

⁹⁹ *Elsing, Siegfried H., Van alstine, Michael P.*, US-amerikansches Handels- und- Writ-schaftsrecht. 2. Aufl. Heidelberg. 1999. Rn. 142-177; იხ. ციტირება: *ჭანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 375.

¹⁰⁰ *ჭანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 375.

¹⁰¹ *ქოჩაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009, გვ. 88.

¹⁰² Гражданское и торговое право зарубежных государства, т. 1, под ред. Васильева Е.А. и Комарова А. С., М., 2004, 467. იხ. ციტირება: *ქოჩაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009, გვ. 88.

ცოდნა და მისი დადგომის სურვილი მართლსაწინააღმდეგო შეგნებით.¹⁰³ რაც შეეხება გაუფრთხილებლობის ცნებას, სამოქალაქო სამართალში სისხლის სამართლისგან განსხვავებული დეფინიცია აქვს და ცალკეული თავისებურებებით ხასიათდება¹⁰⁴, სამოქალაქო სამართალი სისხლის სამართლისგან განსხვავებით განზრახვას პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმებად არ ყოფს, რადგან ამას რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს, განურჩევლად იმისა განზრახვა პირდაპირია თუ არაპირდაპირი ზიანი აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს.¹⁰⁵ ბრალის ფორმას და ხარისხს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულის ბრალმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას ან გაზრდას.¹⁰⁶ ამერიკულ სამართალში განზრახვად ითვლება, როცა გარემოებებიდან გამომდინარე აშკარად სავარაუდოა, რომ პირის მოქმედება მართლსაწინააღმდეგო შედეგს გამოიწვევს.¹⁰⁷ რაც თითქოს გაუფრთხილებლობის ცნებას (გონივრული გულმოდგინების უგულველყოფა) ემსგავსება.¹⁰⁸ გაუფრთხილებლად ითვლება ქმედება, რომლითაც ირღვევა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნები, რომელიც ობიექტური მაშტაბებით უნდა იქნეს შეფასებული¹⁰⁹. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, გამოყენებულ უნდა იქნეს მსგავს სიტუაციაში გონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანის მოქმედების პრეზუმფცია.¹¹⁰ სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ გაუფრთხილებლობის ორ ფორმას უხემ და მარტივ გაუფრთხილებლობას. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობის

¹⁰³ *Fikentscher W.*, Schuldrecht, 8, Auflage, Berlin - New-York, 1992, 312. იხ. ციტირება: *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 395, გვ. 382.

¹⁰⁴ *ქიხაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009, გვ. 90.

¹⁰⁵ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 395, გვ. 383.

¹⁰⁶ *ჩიკვაშვილი შ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბილისი, 2001, მუხ. 992, გვ. 388.

¹⁰⁷ Restatement (second) of Torts, 8A; Elsing/ Van Alstine, US-amerikanisches Handels- und Wirtschaftsrecht. Rn. 146; იხ. ციტირება: *ჭანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 374.

¹⁰⁸ *ჭანტურია ლ.*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, გვ. 374.

¹⁰⁹ Dieter Medicus, Schuldrecht, Allgemeiner Teil, 149. იხ. ციტირება: *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 395, გვ. 384.

¹¹⁰ *ქიხაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009, გვ. 90.

მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით.¹¹¹ ხოლო მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში წინდახედულობისა და ყურადღებიანობის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია.¹¹² ევროპული ზოგიერთი ქვეყნის სამართლის სისტემაში განზრახი ქმედება მოიცავს უხეშ გაუფრთხილებლობასაც, რომელიც ხშირად არაპირდაპირ განზრახვად მიიჩნევა.¹¹³

ზოგადი წესის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია ბრალის არსებობა.¹¹⁴ არაქონებრივი ზიანის დადგომის შემთხვევაში ბრალის არსებობის მტკიცების ტვირთი სპეციფიურია, როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს მოსარჩელეზეა ზიანის არსებობის მტკიცების ტვირთი, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში მოქმედებს ბრალის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს იმას, რომ ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა ივარაუდება, მისი უარყოფის მტკიცების ტვირთი კი გადადის ზიანის მიმყენებელზე. მოპასუხე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაამტკიცებს რომ მას ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვის.¹¹⁵ სამოქალაქო სამართალი იცნობს ასევე შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ბრალის გარეშე შემდეგ შემთხვევებში: თუ მომატებული საფრთხის წყაროს გამოყენებით მიადგა ზიანი სხეულს ან ჯანმრთელობას, სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში უკანონო მიცემის, უკანონო დაკავების ან მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის უკანონო შეფარდების შედეგად; სახელისა თუ ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისას და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.¹¹⁶ მსგავსი გამონაკლისები არსებობს ასევე გერმანიის სამართალში, კერძოდ პროდუქტის მწარმოებელს ეკისრება სამოქალაქო

¹¹¹ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 395, გვ. 384.

¹¹² *ძლიერიშვილი ზ.*, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 116.

¹¹³ იქვე, გვ. 116.

¹¹⁴ *ბიჭია მ.*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2016, გვ. 102.

¹¹⁵ იქვე, გვ. 102.

¹¹⁶ *თოდუა მ., ქურდაძე შ.*, ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი, თბილისი, 2005, გვ. 75; იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2016, გვ. 102.

პასუხისმგებლობა არაქონებრივი ზიანისათვისათვის თუ იგი გამოწვეულია პროდუქტის შედეგად სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებით.¹¹⁷

1.4. ზიანი

ზიანი წარმოადგენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, თუ არაა ზიანი არც ქონებრივი და არაქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ, რომ მართლსაწინააღდეგო მოქმედების შედეგია.¹¹⁸

ზიანის ცნებას საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული არ არის. ამიტომ მისი შინაარსი იურიდიულ დოქტრინაში უნდა ვეძიოთ. გერმანული სამართლებრივი ლიტერატურა მას განიმარტავს, როგორც ნებისმიერი არანებაყოფლობით ქონებრივ მსხვერპლს, რაც შეიძლება გამოიწვევოს იყოს აქტივების შემცირებით, პასივების ზრდით ან შემოსავლების მიუღებლობით.¹¹⁹ ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში კი ზიანი განიმარტება, როგორც პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი.¹²⁰

საქართველოს სამოქალაქო სამართალი ზიანის, რამოდენიმე სახის კლასიფიკაციას იცნობს, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ერთმანეთისგან განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს¹²¹. ზიანი სახელშეკრულებოა თუ იგი მიყენებულია ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით, ხოლო არასახელშეკრულებო ზიანი წარმოიშობა ისეთი დარღვევის შედეგად, რომლის დროსაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა. ასევე არსებობს ზიანის კლასიფიკაცია ქონებრივიად და არაქონებრივიად; საკომპენსაციო და მორატორული და ა.შ.¹²²

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში არსებობს ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესი (408-ე მუხლის პირველი ნაწილის), რომლის

¹¹⁷ *Magnus U.*, The Reform of German Tort Law, Working Paper N 127, 2003, p. 5.

(ხელმისაწვდომია: <<https://www.raco.cat/index.php/InDret/article/view/82541/107387>>)

¹¹⁸ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 394, გვ. 366.

¹¹⁹ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 03.10.2017, მუხ. 408, ველი 8.

¹²⁰ *Жалинский А., Рерихт А.*, Введение в немецкое право, М., 2001, 369. იხ. ციტირება: *ქობაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2019, გვ. 82.

¹²¹ *ქობაშვილი ქ.*, ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2019, გვ. 82.

¹²² იქვე, გვ. 82.

თანახმად პირმა, რომელსაც აწევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა ზიანის მომტანი ქმედება რომ არ ყოფილიყო. ეს დანაწესი თავის თავში მოიცავს როგორც ქონებრივ ისე არაქონებრივ დანაკლისს.¹²³ მსგავს შინაარს განამტკიცებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 249-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი.¹²⁴ აღნიშნული მუხლები ქონებრივი ზიანის შემთხვევაში, ზიანის არსს კარგად გამოხატავს, თუმცა არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში, გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის თვით მის ბუნებასთან, რადგან მორალური ზიანის მიყენების შემდეგ შეუძლებელია იქამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სსკ-ს 413-ე მუხლის და გსკ-ს 253-ე პარაგრაფის პირველი ნაწილები განამტკიცებენ, რომელთა გამოყენებითაც ხდება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენება სასამართლოში. როგორც აღინიშნა ზიანის ცნებაში მოიაზრება ქონებრივი და არაქონებრივი დანაკლისი. საინტერესოა რას გულისხმობს თითოეული მათგანი და რა ნიშნებით ხდება ამ უკანასკნელთა გამიჯვნა ერთმანეთისგან ?. ქონებრივ და არაქონებრივ ზიანის გამიჯვნა მთელ რიგ შემთხვევებში ძალზედ საკამათოა¹²⁵. მთავარი კრიტერიუმი, რითიც შეიძლება განვასხვავოთ ერთი მეორისგან არის ის რომ უნდა დადგინდეს აქვს თუ არა მიყენებულ დანაკლისს ფულადი ექვივალენტი.¹²⁶

ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის გამიჯვნის პრობლემის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის რომ არც საქართველოს და არც მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა არ იძლევა მათ დეფინიციას. თუმცა ევროპის ქვეყნების დოქტრინაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, საქართველოს და გერმანიის კანონმდებლობის მსგავსად, არაქონებრივი ზიანი მიიჩნევა იმ სახის ზიანად, რომელიც ადამიანის ფინანსურ მდგომარეობაზე არ აისახება, აქტივების შემცირებას არ იწვევს და დაკავშირებულია ადამიანის არამატერიალურ, მორალურ ინტერესებთან¹²⁷, იგი ადამიანში ვლინდება უარყოფითი ემოციების სახით, როგორცაა შიში, შფოთვა და ა.შ.¹²⁸ ხოლო

¹²³ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 03.10.2017, მუხ. 408, ველი 10.

¹²⁴ *Palmer V. V.*, *The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law*, Cambridge, 2015, p. 129.

¹²⁵ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 03.10.2017, მუხ. 408, ველი 12.

¹²⁶ *Lange/Schiemann*, *Schadensersatz*, 3. Aufl. 2003, § 2 I 2; იხ. ციტირება: *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, 03.10.2017, მუხ. 408, ველი 12.

¹²⁷ *Tepeš N.*, *Non-material Damages Arising Out of The Breach of Contract and Interpretation of Article 74 CISG*, *Liber amicorum Gašo Knežević*, 2016, p. 673; (ხელმისაწვდომია: <http://www.arbitrationassociation.org/wp-content/uploads/2017/07/671_695.pdf>)

¹²⁸ *Nolan D.*, *Damage in the English Law of Negligence*, 4 *Jurnal of European Tort Law*, 2013, p. 265. (ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3098802>)

ქონებრივი ზიანად მიიჩნევა ზიანი, რომელიც უშუალოდ პიროვნების ფინანსურ მდგომარეობაზე ახდენს ზეგავლენას.¹²⁹

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოსაშობად აუცილებელია თვითონ ზიანის არსებობა და მნიშვნელობა არ აქვს ეს ზიანი იქნება სახელმწიფოებო თუ არასახელმწიფოებო, მთავარია რომ ზიანი იყოს არაქონებრივი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულს წარმოეშობა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და არა მორალური ზიანის. აღსანიშნავია ისიც რომ ერთ მეორეს არ გამოორიცხავს, შეიძლება სახელმწიფოებო ან არასახელმწიფოებო ურთიერთობიდან წარმოიშვას როგორც მატერიალური ისე არამატერიალური ზიანი, რაც დაზარალებულს ორივე მათგანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.¹³⁰

2. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფარგლები

2.1. მორალური ზიანის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებული შემთხვევები

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას 992-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების გარდა, დამატებითი მოთხოვნები გააჩნია. მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მისი ანაზღაურება პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით.¹³¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. ე.ი ამ ნორმით გამორიცხულია ისეთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელთა კომპენსირება კანონით პირდაპირ არ არის დადგენილი,¹³² კანონმდებლობის ამგვარი დანაწესი ცხადყოფს, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ გამონაკლისის სახითაა

¹²⁹ *Mattiacci D.*, The Economics of Pure Economic Loss and The Internalisation of multiple externalities, German Working Papers in Law and Economics, Volume 2003, paper 5, 2003, p. 5; (ხელმისაწვდომია: <<https://core.ac.uk/download/pdf/6541010.pdf>>)

¹³⁰ *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 17.

¹³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹³² *ცისკაძე მ.*, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, მართლმსაჯულება და კანონი, 2008, N2, გვ.17; იხ ციტირება: *ბიჭია მ.*, დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო, N4, 2016, გვ. 51.

დასაშვები.¹³³ ამავე მუხლის მე-2 ნაწილი არამატერიალური ზიანის მოთხოვნის სამართლებრივ ფარგლებს გარკვეულწილად აფართოებს - თუ საქმე ეხება პირის სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებას, მოთხოვნის საფუძვლისგან დამოუკიდებლად, დამზიანებელმა ყველა შემთხვევაში უნდა გადაუხადოს დაზარალებულ მხარეს კომპენსაცია, მიყენებული სულიერი ტანჯვისათვის.¹³⁴

შესაძლებელია, რომ კერძო სამართლით გათვალისწინებული ურთიერთობების შედეგად წარმოიშვას მორალური ზიანი, ანუ ურთიერთობის ერთ-ერთმა მონაწილემ შეიძლება განიცადოს ზნეობრივი ან ფიზიკური ტანჯვა, ამასთანავე, არ გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების ზოგადი წინაპირობებიც (ბრალი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი) იყოს სახეზე, თუმცა არაქონებრივი ზიანი ანაზღაურებას მაინც არ დაექვემდებაროს, სსკ-ს 413-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის გამო, რომლის თანახმადაც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება დაიშვება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, ე.ი კანონი პირდაპირ ადგენს თუ კონკრეტულად რომელი სიკეთის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებაა შესაძლებელი, კანონმდებელმა ამ ნორმით თავიდან აიცილა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველო სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.¹³⁵ მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლები შეზღუდულია აგრეთვე სსკ-ს 993-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-19 მუხლით, პირველი ზიანის ანაზღაურებას გამორიცხავს იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოწვეულია გამონათქვამებით, რომლებიც ემსახურება საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას. ხოლო უკანასკნელი კრძალავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ.

„მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“ არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამოქალაქო კოდექსი უშვებს მხოლოდ იმ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო კოდექსშია პირდაპირ განსაზღვრული.¹³⁶ მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები სამოქალაქო კოდექსის გარდა მიმოფანტულია სხვა და სხვა

¹³³ რუსთაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 03.10.2017, მუხ. 413, ველი 1.

¹³⁴ იქვე, ველი 1.

¹³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის Nას-1156-1176-2011 განჩინება.

¹³⁶ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 413, გვ. 471.

ნორმატიულ აქტებში მაგალითად: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კანონი რეკლამის შესახებ და სხვა.¹³⁷

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფის პირველი პარაგრაფის მიხედვით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია¹³⁸, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საკანონმდებლო მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის სამოქალაქო სამართლის მსგავსია. თუმცა მცირედი განსხვავებები გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობას შორის მაინც არსებობს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში საქართველოსგან განსხვავებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული პატივის ღირსების და სხვა პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამწოვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა სსკ-ს 18-ე მუხლის მე-6 ნაწილის მსგავსად. გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მსგავსი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამწოვეული მორალური ზიანის კომპენსირება ხდება გსკ-ს 823-ე პარაგრაფის და გერმანიის კონსტიტუციის პირველი და მეორე მუხლების გამოყენებით.¹³⁹

ზიანის ანაზღაურების ფარგლებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მიდგომა აქვს საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობას. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლი განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს რომელიც გერმანიის და საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობისგან განსხვავებით მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფარგლებს არ ზღუდავს, ერთადერთი შეზღუდვა საფრანგეთის სამოქალაქო სამართალში ისაა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება უდნა არღვევდეს პიროვნების კანონით დაცულ ინტერესს.¹⁴⁰

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანს უწევს ნებით თუ უნებლიეთ სხვისთვის უმნიშვნელო უსიამოვნებების მიყენება, როგორცაა მსუბუქი, წამიერი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის მიყენება, მაგალითად ხალხმრავალ ადგილზე მხარის გაკვრა სხვა

¹³⁷ ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო, N4, 2016, გვ. 51.

¹³⁸ *Lowisch M.*, New Law of Obligations in Germany, *Rirsumeikan Law review*, No. 20, 2003, p. 148. (ხელმისაწვდომია: <<http://www.ritsumeikai.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>>)

¹³⁹ *Markesinis B., Coester M., Alpa G., Ullstein A.*, Compensation for Personal injury in English, German and Italian Law, New York, 2005, p. 61-62.

¹⁴⁰ *Cannarsa M.*, Compensation for personal injury in France, 2002, p. 11, (ხელმისაწვდომია: <<http://www.jus.unitn.it/cardoza/Review/2002/Cannarsa.pdf>>)

ადამიანისთვის და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები მორალური სახეს იღებს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანაზღაურების საფუძვლად.¹⁴¹ გერმანიის¹⁴² და საქართველოს¹⁴³ სასამართლო პრაქტიკა უმნიშვნელო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებს.

მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ ფარგლებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების არ შეიძლება გამოირიცხოს დაზარალებულის არასრულწლოვნების (ქმედუუნარობის) გამო, არასრულწლოვანს ისევე, როგორც სრულწლოვან ქმედუუნარიან პირს შეუძლია ტკივილის და სულიერი ტანჯვის აღქმა და ზოგიერთ ასაკობრივი თავისებურებების გამო (პრესტიჟი, პიროვნების თვითდამკვიდრების გამახვილებული გრძნობა და სხვა) შეიძლება უფრო მეტი სიმწვავეთ განიცადოს იგი.¹⁴⁴

2.2. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის სამართლებრივი ფარგლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაქონებრივი ზიანის ოდენობას არ განსაზღვრავს, თუმცა ადგენს მისი ოდენობის გამოთვლის ზოგად პრინციპს. სსკ-ს 413-ე მუხლის მიხედვით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს „გონივრული“ და „სამართლიანი“ ანაზღაურების სახით.

არამატერიალური ზიანის „გონივრულ“ ფარგლებში ანაზღაურებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც.¹⁴⁵

ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი მატერიალური სახით ანაზღაურდებას ექვემდებარება. მორალური ზიანის ბუნებიდან გამომდინარე მისი ანაზღაურება ყოველთვის ქონებრივ ხასიათს ატარებს, რადგან არამატერიალური ზიანის რესტიტუცია დაუშვებელია. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ქონებრივი ზიანის ოდენობის დადგენა მარტივია, ამისთვის საკმარისია ზიანის დადგომამდე და მას შემდეგ არსებული მდგომარეობის

¹⁴¹ *ბარამაძე ნ.*, მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ადამიანი და კონსტიტუცია, N3, 2005, გვ. 69.

¹⁴² *კროპჰოლერი ი.*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, *თ. დარჯანიას* და *ზ. ჭეჭელაშვილის* თარგმანი, თბილისი, 2014, პარაგრაფი 253, გვ. 136, ველი 2.

¹⁴³ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 06 იანვრის N 28/7243-15 გადაწყვეტილება.

¹⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 08 აპრილის Nბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება.

¹⁴⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი.

შეპირისპირება, ხოლო არამატერიალურის შემთხვევაში გაცილებით რთულადაა საქმე, რადგან ის ეკონომიკურ შინაარსს მოკლებულია და ფულადი სახით მისი გამოხატვა შეუძლებელია, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის სასამართლო პრაქტიკაში.¹⁴⁶

სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით ასანაზღაურებელი მორალური ზიანის ოდენობას სარჩელში, მოსარჩელე უთითებს, რაც მხოლოდ და მხოლოდ მის მოსაზრებას წარმოადგენს, ხოლო სასამართლო აფასებს მითითებული ოდენობის სამართლიანობას და გონივრულობას.¹⁴⁷

მორალური ზიანის ანაზღაურების „გონივრული“ და „სამარლიანი“ ოდენობა უდნა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც თავად ეს სამართლებრივი ინსტიტუტი ისახავს მიზნად.¹⁴⁸ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს განცდილი უარყოფითი ემოციების დადებითი ემოციებით შეცვლა, ამიტომ არამატერიალური ზიანის ოდენობის განსაზღვრაში დიდი ადგილი უკავია. უზენაესი სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაუშვებელია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობამ გადააჭარბოს კომპენსაციის მიზანს (შემსუბუქოს დაზარალებულს სულიერი მდგომარეობა).¹⁴⁹ სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იღებს დარღვეული უფლების ხასიათს და ამის შედეგად გამოწვეულ ნეგატიურ როლს პიროვნებაზე.¹⁵⁰

სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზიანებების სიმძიმე, ამით გამოწვეული სულიერი ტანჯვის განგრძობადობა, დაზარალებულის მხრიდან მისი აღქმა¹⁵¹, აგრეთვე ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის ხარისხი, თუ ზიანის ანაზღაურების მოცემული სახე ბრალეულ მოქმედებაზეა დამოკიდებული.¹⁵² მხედველობაში

¹⁴⁶ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 07.10.2017, მუხ. 413, ველი 8 და შემდგომში.

¹⁴⁷ საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 06 იანვრის N 28/7243-15 გადაწყვეტილება.

¹⁴⁸ ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, გვ. 111.

¹⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის N ას-979-940-2011 განჩინება.

¹⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის N ას-660-660-2018 გადაწყვეტილება.

¹⁵¹ კროპილერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, პარაგრაფი 253, გვ. 136, ველი 3.

¹⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 14 ივნისის N ას-95-90-2013 გადაწყვეტილება.

მიიღება ასევე ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა, „ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა“.¹⁵³ გასათვალისწინებელია ასევე მოსარჩელის ქონებრივი¹⁵⁴ და მხარეთა ოჯახური¹⁵⁵ მდგომარეობა.

პირადი არაქონებრივი უფლებების (პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია) ხელყოფის შედეგად გამოწვეული მორალური ზიანის ოდენობის გამოთვლის შემთხვევაშიც გაითვალისწინება ზემოაღნიშნული გარემოებები ამ უფლებათა ხელყოფისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უდნა მიიღოს ისეთი გარემოებები, როგორცაა ადამიანის ღირსების, პატივის და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების ხასიათის საზოგადოებრივი შეფასება, რაც დაზარალებულის სუბიექტური აღქმის გათვალისწინებას გამორიცხავს, რადგან ზნეობრივი განცდის გამომწვევი ვითარებები სხვადასხვაგვარად ფასდება. კომპენსაციის ოდენობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდეს ცილისმწამებლური ან შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელების სფერო. ამ მიზნით მხედველობაში მიიღება ცნობების გავრცელების საშუალება, მაგალითად: მათი გავრცელება მოხდა ადგილობრივი თუ ცენტრალური ტელევიზიით, პირადი საუბრით და ა.შ.¹⁵⁶

კომპენსაციის ოდენობა იზრდება იმ შემთხვევაშიც თუ გავრცელებული, სინამდვილესთან შეუსაბამო, ცნობები ერთდროულად არღვევს რმდენიმე უფლებას (პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას).¹⁵⁷

განსაკუთრებით საინტერესოა მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა, იმ პირობებში როდესაც დაზარალებული სრულად კარგავს აღქმა-გაცნობიერების უნარს. მორალური ზიანის ანაზღაურების მთავარ მიზანს წარმოადგენს დაზარალებულისათვის განცდილი უარყოფითი ემოციების დადებითით შეცვლა. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელი ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს ამის აღქმის უნარი დაკარგული აქვს. ამასთან დაკავშირებით იურისტთა და მეცნიერთა მოსაზრება ორად იყოფა ერთი მათგანის თანახმად დაზარალებულს ამ შემთხვევაში სიმბოლური კომპენსაცია უნდა მიეცეს, რადგან ის ამ დროს არ განიცდის სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვას. ამის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრების

¹⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის N ას-1154-2018 განჩინება.

¹⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ნოემბრის N 28/2774-11 გადაწყვეტილება.

¹⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 25 ივნისის N ას-894-1514-04 განჩინება.

¹⁵⁶ *ჩიკვაშვილი შ.*, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 129.

¹⁵⁷ იქვე, გვ. 129.

თანახმად დაუშვებელია ზიანის მიმყენებელი მორალური ზიანის კომპენსაციისგან თითქმის სრულად გათავისუფლდეს, მხოლოდ იმიტომ რომ მისმა ქმედებამ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზედმეტად უარყოფითი გავლენა იქონია, დაუზიანა თავის ტვინი. ამის დაშვება პიროვნულობის ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებას უგულვებელყოფს, რის გამოც იგი დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.¹⁵⁸

¹⁵⁸ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 07.10.2017, მუხ. 413, ველი 11.

III. პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება

1. პირადი არაქონებრივი უფლებები

პირადი არაქონებრივი უფლებები გააჩნია ნებისმიერ პირს (მათ შორის იურიდიულ პირს). ამ უფლებების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო კონტიტენტური სამართლის რამდენიმე ქვეყნის სასამართლო პრაქტიკამ, რომლის საფუძველზეც კოდექსში მათი რეცეფცია განხორციელდა.¹⁵⁹

არაქონებრივ უფლებებს პიროვნულ უფლებებადაც მოიხსენიებენ¹⁶⁰, პირადი არაქონებრივი უფლებები ნაწარმოებია ინდივიდის განვითარების, პატივისცემის და ღირსების უფლებებისგან, რომელიც საზოგადოებას და სახელმწიფოს პატივისცემის მოვალეობას აკისრებს.¹⁶¹

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ პირადი არაქონებრივი უფლებები ქონებრივი ხასიათის უფლებებისგან. არაქონებრივი უფლებების სოციალური მნიშვნელობა მატერიალურ სფეროში წარმოდგენილ უფლებებზე გაცილებით დიდია.¹⁶² მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ არაქონებრივი უფლებები ქონებრივისგან განსხვავებით შეიძლება გასხვისდეს, ან სხვა სახის (სახელშეკრულებო სამართლის) ობიექტად იქცეს.¹⁶³ გარდა ამისა მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის საფუძველს ანაზღაურების საკითხიც განსაზღვრავს. არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია, როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ნორმების დარღვევისას.¹⁶⁴ არამატერიალური ზიანის ცნების სირთულიდან გამომდინარე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები მას ზოგად ჭრილში განმარტავენ, როგორც ქონებრივი ზიანის საპირისპირო მოვლენად და არამატერიალურ ზიანად ისეთ ზიანს განიხილავენ, რომლის ფულით გამოთვლაც შეუძლებელია.¹⁶⁵

¹⁵⁹ *ჟანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 74.

¹⁶⁰ *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 131. იხ. ციტირება: *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 08.10.2015, მუხლი 19, ველი 4.

¹⁶¹ იქვე, ველი 4.

¹⁶² *ბიჭია მ.*, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, „სამართლის ჟურნალი“ N1-2, 2010, გვ. 85; იხ. ციტირება: *გამბიტაშვილი ნ.*, პირადი (არაქონებრივი) უფლებების ხელყოფის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მნიშვნელოვანი განმარტებები), თსუ სამართლის მიმოხილვა (სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი), N1, 2016, გვ. 170.

¹⁶³ *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 133; იხ. ციტირება: *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 08.10.2015, მუხლი 19, ველი 6.

¹⁶⁴ იქვე, ველი 7.

¹⁶⁵ *Wurmnest W.*, Grundzüge eines europäischen Haftungsrechts: eine rechtsvergleichende Untersuchung des Gemeinschaftsrechts, Tübingen, 2003, 287. იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 16.

არაქონებრივი უფლებები ადამიანს წარმოეშობა უფლებამოსილებასთან ერთად, როდესაც ადამიანი იბადება, ის არა მხოლოდ უფლებაუნარიანი ხდება, არამედ ასევე წარმოეშობა პიროვნული, მისი ღირსებისა და ინდივიდუალურობის გამომხატველი, უფლებები, რომელზეც უარის თქმა ისევე, როგორც უფლებაუნარიანობაზე დაუშვებელია. თუმცა მათ შორის არსებობს განმასხვავებელი ნიშანი, ადამიანის გარდაცვალებით წყდება უფლებაუნარიანობა, ხოლო პიროვნული უფლებების დაცვა კი ადამიანის გარდაცვალების შემდეგაც შესაძლებელია.¹⁶⁶

საქართველოში პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პირს, რომლის უფლებებიც დაირღვა მოითხოვოს ამით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაცია. მითითებული მუხლით გათვალისწინებული უფლებების განმარტება კონსტიტუციურსამართლებრივი განმარტებისგან განსხვავდება, თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს მათ კონსტიტუციური წინაპირობა არ გააჩნით. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი უპირველეს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ეფუძნება.¹⁶⁷

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი დაზარალებულს შესაძლებლობას აძლევს ქონებრივ ზიანთან ერთად მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც, ამავე მუხლში გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.¹⁶⁸

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სსკ-ს მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის მსგავსი მითითებას არ შეიცავს და პირდაპირ არ ითვალისწინებს პიროვნების პირადი არაქონებრივი უფლებების (სახელის, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და საკუთარი გამოსახულების) შელახვის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად მათი მოთხოვნის ანაზღაურების უფლება დაზარალებულს გააჩნია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის საფუძველზე, რომელიც ზიანის ანაზღაურების

¹⁶⁶ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 135-136.

¹⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 ივნისის N3კ-337-02 გადაწყვეტილება; იხ. ციტირება: *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 08.10.2015, მუხ. 19, ველი 4.

¹⁶⁸ *ბარამაძე ნ.*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისთვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2011, გვ. 109.

მოთხოვნის ზოგად საფუძველს განამტკიცებს.¹⁶⁹ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აუცილებელი არ არის პოზიტიური სამართლით იქნეს ყველა უფლების დაცვის შესაძლებლობა გარანტირებული, ადამიანის პირად სფეროს იცავს გერმანიის კონტიტუციის პირველი და მეორე მუხლები, რომელებიც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევენ მოითხოვონ მათი დარღვევის შედეგად დამდგარი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში დაზარალებულის ეს უფლება პირდაპირ არ არის განსაზღვრული. გერმანიის პირველი სენატის 1973 წლის 14 თებერვლის განჩინებაში ნათქვამია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს რაციონალურ აზროვნებას. იმ შემთხვევაში, თუ კანონის ხარვეზის გამო ვერ ხდება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, მოსამართლე უფლებამოსილია ასეთი გარემოების დასაბუთების შემთხვევაში შეავსოს კანონის ხარვეზი პრაქტიკული გონების მაშტაბებითა და სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებული ზოგადი წარმოდგენების მიხედვით.¹⁷⁰

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მექანიზმს შეიცავს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელითაც განამტკიცებულია პიროვნების პირადი ცხოვრების ფართო კონცეფცია, ამიტომ მათი ამომწურავად განსაზღვრა შეუძლებელია. აღნიშნული მუხლის დაცვის ქვეშ ექცევა ისეთი უფლებები როგორცაა სახელის, პატივის ღირსების, საქმიანი რეპუტაციის უფლებები და უფლება საკუთარ გამოსახულებაზე.¹⁷¹

საფრანგეთში ადამიანის არაქონებრივ უფლებებს იცავს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფართო ცნებაა და მასში შეიძლება მოვიანოთ სსკ-ს 18-ე მუხლში გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებებიც.

ზემოაღნიშნული უფლებების ხელყოფის შედეგად წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლებისა და

¹⁶⁹ *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 19.

¹⁷⁰ *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, *ე. ჩაჩანიძის* თარგმანი, თბილისი, 2011, გვ. 333. (ხელმისაწვდომია: <<http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-BVerfGE.pdf>>)

¹⁷¹ *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 21.

არსებული სასამართლო პრაქტიკის უკეთ შესწავლისთვის აუცილებელია მათი შინაარსისა და ხელყოფის შემთხვევების განხილვა.

1.1. სახელი

სახელის უფლება ადამიანის აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. მას სამართლებრივ დოქტრინაში და სასამართლო პრაქტიკაში განიხილავენ როგორც პირად ან არამატერიალურ სიკეთეს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს, როგორც იურიდიულ ისე ფიზიკურ პირს, ასევე პირთა გაერთიანებას.¹⁷² სახელს ყოველი უფლებაუნარიანი ადამიანი ატარებს იქნება ეს სამოქალაქო, საზოგადოებრივი თუ სამართლებრივ ურთიერთობებში თავისი ინდივიდუალურობის აღსანიშნავად.¹⁷³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში არ იკითხება, სახელის ტარების უფლება ეხება მხოლოდ ფიზიკურ პირს თუ იურიდიულ პირზეც ვრცელდება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის განხილვისას იურისტები აღნიშნავენ, რომ სახელის ტარების უფლება ეხება, როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირს, მაგალითად კომპანიას, პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ ასოციაციას და ქალაქს.¹⁷⁴ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დათქმის მსგავს დანაწესს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-12 პარაგრაფიც, მართებული იქნება თუ ამ მიდგომას სსკ-ს მე-18 მუხლის პირველ ნაწილზეც გავავრცელებთ.

როგორც ზემოდ აღინიშნა, სახელის უფლება მიეკუთვნება არაქონებრივ უფლებათა კატეგორიას, რომელთა გადაცემა დაუშვებელია, თუმცა კომერციულ ურთიერთობებში სამოქალაქო სახელი გარდაიქმნება სავაჭრო სახელად, საწარმოს ქონების ნაწილად რის შედეგადაც ქონებრივი უფლების ჭრილში განიხილება. რის გამოც მას ორმაგი ბუნების უფლებასაც უწოდებენ.¹⁷⁵

სახელის უფლება მის მფლობელს შესაძლებლობას აძლევს ატაროს იგი, თავი წარადგინოს მისი გამოყენებით, მოითხოვოს მისი აღიარება სხვა პირთა მხრიდან და აუკრძალოს სხვებს მისი გამოყენება, რათა თავიდან იქნეს

¹⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აგვისტოს N ას-1739-1720-2011 გადაწყვეტილება; იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 11.

¹⁷³ *ჰანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 196.

¹⁷⁴ *Beverley-Smith H., Ohly A., Lucas-Schloetter A.*, Privacy, Property and Personality, Civil Law Perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005, p. 109. (ხელმისაწვდომია: <https://bilder.buecher.de/zusatz/21/21716/21716763_vorw_1.pdf>)

¹⁷⁵ *ჰანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 199-201.

აცილებული პირთა ერთმანეთში აღრევა.¹⁷⁶ ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირებს ეკრძალებათ არა მსგავსი სახელის, არამედ მისი სახელის, როგორც პიროვნულობის განმსაზღვრელი საშუალების გამოყენება. სხვანაირად არც იქნებოდა ეს მართებული, რადგან იგივე სახელის გამოყენების აკრძალვა ცხოვრებაში საკმაოდ არაპრაქტიკულია. ამის ნათელი მაგალითია იმის წარმოდგენა, რომ მაგალითად სახელი „გიორგის“ გამოყენება მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლოს, რამდენი სახელის მოფიქრება და დამახსოვრება დაჭირდებოდა კაცობრიობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელის გამოყენების აკრძალვა იცავს სახელის მატარებელს მის ინდივიდუალობაზე თავდასხმისაგან.¹⁷⁷

სსკ-ს 18-ე მუხლთან ერთად სახელის უფლება დაცულია საავტორო სამართლით. კონტინენტურ ევროპის სამართალში და საქართველოს საავტორო სამართალში დამკვიდრებული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, სახელის უფლების დაცვა საავტორო სამართლის ნორმებთან ერთად ან მის პარალელურად სამოქალაქო სამართლის სხვა შესაბამისი ნორმების გამოყენებით გაძლიერდეს. გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ საავტორო სამართლით დაცული სახელის უფლება და სამოქალაქო კოდექსით დაცული სახელის უფლება ერთმანეთისგან განსხვავდება წარმოშობის და დაცვის თვალსაზრისით.¹⁷⁸

1.2. პატივი და ღირსება

პატივის და ღირსების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ამიტომ მათი შინაარსი სამართლებრივ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში უდნა ვეძიოთ. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, „პატივი გულისხმობს პიროვნების მორალური თუ სხვა ობიექტური თვისებების შეფასებას საზოგადოების მიერ, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების დამოუკიდებლობას სხვათა მიმართ, ხოლო ღირსება მორალური

¹⁷⁶ Heermann P., Verwertung von Persönlichkeitsrechten der Bundesligafußballspieler durch die Bundesligaclubs sowie die Deutsche Fußball Liga GmbH (Seminar zum Sportrecht), 2008, 7, 8; Агарков М. М.,

Право на имя, В Сборник статей по гражданскому и торговому праву, Памяти профессора Гаьриэля

Феликсовича Шершеневича, М., 2005, 147; იხ. ციტირება: ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 11.

¹⁷⁷ Агарков М. М., Право на имя, В Сборник статей по гражданскому и торговому праву, Памяти профессора Гаьриэля Феликсовича Шершеневича, М., 2005, 148-149; იხ. ციტირება: ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 11.

¹⁷⁸ საჯაია ლ., ავტორობისა და სახელის უფლება - ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, N1, 2013, გვ. 239.

თუ სხვა თვისებების შეფასებაა თავად პიროვნების მიერ.¹⁷⁹ გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ პატივის ხელყოფა დაუკანშირა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველ ნაწილს, რაც თითქოს მას პიროვნული უფლებების ხელყოფის ქვეშემთხვევად აქცევს. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლთან სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის მე-2 ნაწილის კავშირის საფუძველზე კი საბოლოოდ სამოქალაქო სამართალში იყენებენ სისხლისამართლებრივ პატივის ცნებას.¹⁸⁰ 823-ე მუხლი წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების ზოგად დანაწესს. სამწუხაროდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პატივის და ღირსების დაცვის სამართლებრივ მექანიზმს პირდაპირ არ შეიცავს, თუმცა ზემოდხსენებული მუხლთან ერთად კუმულაციურად სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის ან გერმანიის კონსტიტუციის პირველი და მეორე მუხლების გამოყენება¹⁸¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მსგავს პიროვნული არაქონებრივი უფლებების დაცვის მექანიზმს უზრუნველყოფს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით ადამიანის ღირსება ხელშეუალაია. პატივის კონსტიტუციურსამართლებრივ ცნებას ფართო ხასიათი აქვს და გულისხმობს ადამიანის პატივისცემის სოციალურ მოთხოვნილებას, რითაც მისი სოციალური მდგომარეობაა აღიარებული. სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია, ადამიანი არ იქცეს მიზნის მიღწევის საშუალებად. ამ თვალსაზრისით ღირსება არა მხოლოდ უფლება არამედ კონსტიტუციური პრინციპია.¹⁸² დოქტრინაში განვითარებული პატივის ნორმატიული ცნების თანახმად, იგი წარმოადგენს ადამიანის შინაგან ღირსებას, რომელიც პიროვნულ ღრსებას ეფუძნება.¹⁸³ ნორმატიული ცნების თანახმად ადამიანს პატივი ეკუთვნის იმისდა მიუხედავად იმსახურებს თუ არა მას იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც ცხოვრობს. პატივის სამართლებრივი ცნება, რამოდენიმე ნიშნით ხასიათდება: პირის დადებითი თვისებების არსებობა; მათი ასახვა საზოგადოებრივ ცნობიერებაში; პიროვნული თვისებები გამოხატავს პოულობს საზოგადოებრივ ცნობიერებასა და თვით ამ პირის თვითცნობიერებაში. შესაბამისად, პატივის სამართლებრივი გაგება უკავშირდება ადამიანის იმ შინაგან და გარეგან

¹⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის N ას-569-540-2014 განჩინება.

¹⁸⁰ *Perger T.*, *Ehrenschtutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten*, Köln, 2003, 26-27; იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), 2014, გვ. 14.

¹⁸¹ *Markesinis B., Coester M., Alpa G., Ullstein A.*, *Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law*, New York, 2005, p. 61-62.

¹⁸² *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, გვ. 185.

¹⁸³ *Perger T.*, *Ehrenschtutz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten*, Köln, 2003, 25; იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), 2014, გვ. 13.

შეფასებას, როგორცაა საზოგადოების მიერ მისი ღირსების ანუ თვითაღიარებისა და საზოგადოებაში პიროვნების შეფასება.¹⁸⁴ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ პატივი განიხილება ფიზიკური პირის, მისი მორალური და სხვა თვისებების ობიექტურ (საზოგადოებრივ) შეფასებად გარშემომყოფთა მხრიდან.¹⁸⁵

ღირსებაში მოიაზრება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება. ეთიკური გაგებით, ღირსება თვითშეფასების მოთხოვნის უფლებაა. ღირსება პირადი არაქონებრივი უფლებაა და ამიტომ მისი გამოთვლა ფულადი ფორმით შეუძლებელია. არამატერიალური ურთიერთობებს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია, რის გამოც ზიანის დასამტკიცებლად საკმარისია მხოლოდ კანონით დაცული უფლების დარღვევა. ღირსება შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც მიეკუთვნება პიროვნების ისეთ არაქონებრივ სიკეთეთა რიცხვს, რომლის შეფასებაც შეუძლია იმას ვინც თავისი ღირსების დაცვას მოითხოვს. ღირსება თავის თავში აერთიანებს საკუთარი მორალური თვისებების, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის, თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას.¹⁸⁶ ამდენად, შინაარსობრივად ადამიანის ღირსება ნიშნავს პიროვნების ღირებულების პატივისცემას.¹⁸⁷ ადამიანის ღირსების ცბევა ჯერ კიდევ ძველ კლასიკურ რომის სამართალში არსებობდა (*dignitas*), რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის სოციალურ და პოლიტიკურ სტატუსთან. ღირსების იმდროინდელი გაგება თავის თავში აერთიანებდა აგრეთვე პატივსაც.¹⁸⁸ თუმცა დღევანდელი გაგებით პატივი და ღირსება ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიული თვალსაზრისით, პატივსა და ღირსებას მსგავსი მოთხოვნის უფლებები

¹⁸⁴ *Perger T.*, *Ehrenschtz von Soldaten in Deutschland und anderen Staaten*, Köln, 2003, 22. იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), 2014, გვ. 14.

¹⁸⁵ *Карпушина С.* Вл., *Защита чести и достоинства и деловой репутации в Российском гражданском праве*, Москва, 2014, 2. იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), 2014, გვ. 14.

¹⁸⁶ *ბიჭია მ.*, ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2014, გვ. 53.

¹⁸⁷ იქვე, გვ. 53.

¹⁸⁸ *Barroso L. R.*, *Here, There, and Everywhere: Human Dignity in Contemporary Law and in the Transnational Discourse*, *Boston College International and Comparative Law Review*, Volume 35, Issue 2, 2012, p. 334.

(ხელმისაწვდომია: <https://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1681&context=iclr&ei=1SvUff1D8_54AOfYGwCw&usq=AFQjCNGaV8Y0DgaazpWQfM_uFwwuDhH_6g&bvm=bv.47534661>)

ახასიათებთ, რომლებიც ყველა ფიზიკურ პირს გააჩნია, როგორც ადამიანს.¹⁸⁹ რაც შეეხება მათ განმასხვავებელ ნიშნებს, პატივი არის საზოგადოების დამოკიდებულება პიროვნების მიმართ და გარეგანი ხასიათი გააჩნია, ხოლო ღირსება განიხილება, როგორც თვითონ პიროვნების მიერ საკუთარი მნიშვნელობის შეფასება, რომელიც სინამდვილის შესაბამის ფაქტებს უნდა შეესაბამებოდეს.¹⁹⁰

1.3. საქმიანი რეპუტაცია

საქმიანი რეპუტაცია ადამიანის პატივის და ღირსების მსგავსად თავისი არსით ზნეობრივ კატეგორიას განეკუთვნება.¹⁹¹ საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევა ხშირ შემთხვევაში ხელყოფს პიროვნების სულიერ მდგომარეობას, რაც ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვის მიყენებით გამოიხატება.¹⁹² ამიტომ ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში სამოქალაქო კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას იძლევა.¹⁹³ გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ვსაუბრობთ საქმიანი რეპუტაციის დარღვევით გამოწვეულ მორალურ ზიანზე, მისი მოთხოვნის უფლების მქონედ ყოველთვის ფიზიკური პირი ითვლება, რადგან იურიდიულ პირი მორალურ ზიანს ვერ განიცდის.¹⁹⁴

ევრო სასამართლოებში გვხვდება ისეთი გადაწყვეტილებები,¹⁹⁵ სადაც სასამართლო იურიდიულ პირს უკმაყოფილებს მოთხოვნას, საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამოწვეული არაქონებრივ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუმცა ეს არ უნდა იქნეს იმნაირად გაგებულ, თითქოს იურიდიული პირს ამით მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული სულიერი ტანჯვის სანაცვლოდ მიეცა კომპენსაცია. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ყურადღებას აქცევს საქმიანი რეპუტაციის დაკარგვით გამოწვეულ ქონებრივ დანაკარგს, მაგალითად საქმიან პარტნიორებთან მომგებიანი ბიზნეს შეთანხმების გაუქმება და ა.შ.

¹⁸⁹ ბიჭია მ., პატივის, როგორც პირადი ცხოვრების გამოვლენის ფორმის, დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები, მეცნიერება და ცხოვრება, N2(10), 2014, გვ. 127.

¹⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს N ას-1739-1720-2011 გადაწყვეტილება. იხ. ციტირება: ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 11.

¹⁹¹ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 120.

¹⁹² *Wilcox V.*, A Company's Right to Damages for Non-Pecuniary Loss, United Kingdom, 2016, p. 105.

¹⁹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი.

¹⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის N ას-1428-2018 განჩინება.

¹⁹⁵ Judgment of the General Court (Third Chamber) of 16 December 2010, *Systran SA and Systran Luxembourg SA v European Commission*, Case T-19/07. (ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1562501431070&uri=CELEX:62007TJ0019>>)

საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რაც დაკავშირებულია კერძო პირის საქმიანობასთან. საქმიანი რეპუტაცია გააჩნია მათ ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში,¹⁹⁶ იქნება ეს ფიზიკური თუ იურიდიული პირი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ საქმიანი რეპუტაცია არის საზოგადოებაში პიროვნების საქმიანობაზე ჩამოყალიბებული აზრი, რომელიც განაპირობებს მის წარმატებას ან წარუმატებლობას. ამიტომ შესაძლებელია მის ცნებაში მოვიაზროთ პიროვნების პატივი და ღირსებაც, რადგან საქმიანი რეპუტაცია პიროვნების ავტორიტეტს გულისხმობს.¹⁹⁷ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო სამართლის მიდგომა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ადამიანის პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დამცავი მუხლები არ არის, თუმცა სასამართლო პრაქტიკა მათი დაცვის მექანიზმად სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის პირველი ნაწილთ დადგენილი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველთან ერთად იყენებს კონსტიტუციის პირველ და მეორე მუხლებს. აღნიშნულ დათქმას ითვალისწინებდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 2002 წლამანდე არსებული 847-ე მუხლი, რომელიც პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებდა.¹⁹⁸

1.4. უფლება გამოსახულებაზე

უფლება გამოსახულებაზე საქართველოს კანონმდებლობით დაცულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით. საკუთარი გამოსახულების უფლება განეკუთვნება ზოგად პიროვნულ უფლებათა გამოვლენის ფორმას, რომელიც პიროვნებას შესაძლებლობას აძლევს აუკრძალოს მესამე პირებს მისი გამოსახულების გამოყენება ნებისმიერი გზით. მაგალითად იმ ფოტოსურათის ან ნახატის გამოქვეყნება, რომელზეც მისი გამოსახულებაა აღბეჭდილი.¹⁹⁹ პიროვნების გამოსახულების უფლება ევროპაში პირად ცხოვრებასთან არის გათანაბრებული სწორედ ეს შეხედულებაა გათვალისწინებული სსკ-ს 18-ე მუხლის მე-5 ნაწილში, აღნიშნული უფლების დარღვევა გათანაბრებულია პატივის და ღირსების

¹⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N ას-1452-2018 განჩინება.

¹⁹⁷ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 24.12.2017, მუხ. 18, ველი 45-46.

¹⁹⁸ *Markesinis B., Coester M., Alpa G., Ullstein A.*, Compensation for Personal injury in English, German and Italian Law, New York, 2005, p. 61-62.

¹⁹⁹ *ბიჭია მ.*, პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 11.

შელახვასთან.²⁰⁰ გამოსახულების უფლებას უთანაბრდება უფლება ხმაზე.²⁰¹, მიუხედავად იმისა რომ ხმა ვიზუალურად არ არის აღქმადი მისი იდენტიფიცირება მაინც შესაძლებელია და ის პიროვნულობის გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებად ითვლება. პიროვნების გამოსახულებად ითვლება ფოტოსურათზე, ვიდეოფირმი ან ნახატზე ასახული ვიზუალური ინფორმაცია, რომლითაც ამ უკანასკნელის აღქმა, იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.²⁰² პიროვნების გამოსახულების უფლების დაცვას გერმანიაში კონსტიტუციის პირველი და მეორე მუხლები უზრუნველყოფენ, ისე როგორც პიროვნების ინდივიდუალულობის განმსაზღვრელ სხვა არაქონებრივ უფლებებს.²⁰³

2. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის კანონით დადგენილი წინაპირობები

არაქონებრივი უფლებები სამართლიანი სახელმწიფოს ერთ-ერთ აუცილებელ ფუძემდებელ უფლებებს განეკუთვნება, რომელიც დაცულია მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციებით ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ამ უფლებათა დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა, რომელსაც საქართველოს მსგავსად არაერთი ქვეყანა (გერმანია, საბერძნეთი, საფრანგეთი, პორტუგალია, იტალია შვეიცარია და ა.შ.) განამტკიცებს.²⁰⁴

არაქონებრივი (არამატერიალური, არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია რამოდენიმე წინაპირობის არსებობა. ქონებრივი ზიანის მსგავსად ამ შემთხვევაშიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებისათვის საჭიროა არსებობდეს

²⁰⁰ ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 11.

²⁰¹ ჭანტურია ლ., პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, ჟურნ. „სამართალი“, N11-12, 1997, 28; იხ. ციტირება: ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 13.

²⁰² კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, გვ. 65; იხ. ციტირება: ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 24.12.2017, მუხ. 18, ველი 72.

²⁰³ Markesinis B., Coester M., Alpa G., Ullstein A., Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law, New York, 2005, p. 61-62.

²⁰⁴ Shelton D., Remedies in International Human Rights Law, United Kingdom, 1999, p. 71. (ხელმისაწვდომია:

<https://books.google.ge/books?id=obmYCGAAQBAJ&pg=PA452&lpg=PA452&dq=remedies+in+international+human+rights+law+dinah+shelton+1999&source=bl&ots=qVIvk3Fhua&sig=ACfU3U2i Sxe9 ZIfCRfRld7OJSFhj XhGA&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwilmfC2 5jjAhWD6qYKHziWDMs4ChDoATAAegQICBAb#v=onepage&q=remedies%20in%20international%20human%20rights%20law%20dina h%20shelton%201999&f=false>)

ზოგადი სამართლებრივი წინაპირობები, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი და არაქონებრივი ზიანი.²⁰⁵ თუმცა მორალური ზიანის ანაზღაურების სასამართლო წესით მოთხოვნა, არაქონებრივი ზიანის შემთხვევისგან განსხვავებით მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებშია შესაძლებელი²⁰⁶, რაც ნიშნავს იმას, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამის შესაძლებლობას კანონი იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანიც კი ანაზღაურებას არ ექვემდებარება.²⁰⁷ იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შედეგად წარმოშობილ მორალურ ზიანს, მნიშვნელოვანია განიმარტოს ზემოდ აღნიშნული უფლებების ხელყოფის შემთხვევები, რომლებიც არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს.

2.1. სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლებათა დარღვევა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ არაქონებრივი უფლებებიდან ერთ-ერთს წარმოადგენს სახელის უფლება, სახელის უფლება მის სუბიექტს უფლებას აძლევს ატაროს იგი და მოითხოვოს მისი აღიარება სხვებისგან, ასევე აუკრძალოს მესამე პირებს მისი გამოყენება.²⁰⁸ მისი დარღვევა ხდება როდესაც ადამიანს კანონით მინიჭებული ეს უფლებები ეზღუდება უკანონოდ, ასეთ შემთხვევადაც უნდა ჩაითვალოს პიროვნების სახელით და გვართ უკანონო სარგებლობა, მაგალითად სოციალურ ქსელებში, ამასთან გასათვალისწინებელია რომ იგივე სახელის და გვარის გამოყენება არ ნიშნავს სახელის უფლების დარღვევას, ამისათვის აუცილებელია თვითონ ამ უფლების სუბიექტის პიროვნულობის გამოყენება, ანუ ზიანის მიმყენებელი თავს უნდა წარმოაჩენდეს, როგორც დაზარალებული. მსგავსი ქმედება არღვევს ადამიანის სახელის უფლებას, ხოლო თუ მისი გამოყენება ხდება იმგვარად, რომ პიროვნებას საზოგადოების

²⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის N ას-1154-1018 განჩინება.

²⁰⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²⁰⁷ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 413, გვ. 470.

²⁰⁸ ბიჭია ბ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017, გვ. 11.

წინაშე უარყოფითად წარმოადგენს ამ შემთხვევაში სახელის უფლების დარღვევასთან ერთად, ირღვევა ასევე ადამიანის პატივის, ღირსების და ზოგიერთ შემთხვევაში საქმიანი რეპუტაციის უფლებაც კი. ამ უკანასკნელის ხელყოფისთვის აუცილებელია ზიანის მიმყენებლის ქმედება ეხებოდეს მის ეკონომიკურ საქმიანობას, პროფესიას ან ხელობას, რამაც უნდა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მაგალითად მომხმარებელთა და პროდუქციის რეალიზაციის შემცირება და სხვა. ხოლო რაც შეეხება პატივის და ღირსების შელახვა შეიძლება სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაციის გავრცელებით, ცილისწამებით ან შეურაცხყოფით. მაგალითად ქურდობის დაბრალებით ან სხვა საზოგადოებრივ მხრიდან გასაკიცხ საქციელის ჩადენაში დადანაშაულებით.²⁰⁹ პატივის და ღირსების უფლება ირღვევა მაშინაც, როდესაც პიროვნებას აყენებენ ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას.²¹⁰ ამ უფლებათა შელახვისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არაქონებრივი ზიანის მიმყენებელს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის ქმედება (მაგალითად განცხადება) შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ დაზარალებულის შესახებ და ამ ქმედებით მას მიადგა არამატერიალური ზიანი.²¹¹ შესაბამისად მორალური ზიანის მოთხოვნის სამართლებრივი წინაპირობები განცხადების გავრცელებით ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში ასე გამოიყურება: სადაო განცხადება ლახავს მოსარჩელის პატივს და ღირსებას; განცხადება არ შეეფერება სინამდვილეს და არსებითად მცდარი ფაქტია; ფაქტის მცდარობის შესახებ მოპასუხისათვის ცნობილი იყო; განცხადება, რომელიც გავრცელდა დაზარალებულის შესახებ არ არის გაკეთებული კანონით დაშვებულ ფარგლებში (მაგალითად: პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში); განცხადება მოსარჩელის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას ზიანს აყენებს. აღნიშნული წინაპირობები იცვლება იმის მიხედვით თუ რა სახის ქმედებით მოხდება პიროვნების პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის უფლებათა ხელყოფა.

2.1. გამოსახულებაზე უფლების ხელყოფა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი

საკუთარ გამოსახულებაზე უფლება დარღვეულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის გამოსახულების გამოყენება ხდება ნებისმიერი ფორმით იქნება ეს პორტრეტის თუ აუდიომასალის გამოქვეყნებით,

²⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის N ას-1857-2018 განჩინება.

²¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის N ას-341-319-2017 განჩინება.

²¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

რომელშიც მისი გამოსახულებაა აღბეჭდილი და იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად ეს უფლება ირღვევა მაშინ როდესაც მისი მფლობელის თანხმობის გარეშე ხდება გამოსახულების რეპროდუცირება და გამოყენება, საკითხავია ანალოგიურ შემთხვევად შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანის გამოსახულების გამოქვეყნება კი არ ეხება საქმე, არამედ მის საკუთრებაში არსებული ქონების გადაღებას და ექსპლუატაციას. ქართული სამართლებრივ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად ქონების გამოსახულების ექსპლუატაციამ, საკუთრების უფლებასთან ერთად შეიძლება ხელყოს მესაკუთრის პიროვნული უფლებები, რადგან შეიძლება ასეთი ქმედება შეიძლება ადამიანის სიმშვიდეს, მყუდროებას და მის რეპუტაციას არღვევდეს.²¹² მაგალითად შეუძლია თუ არა დაირღვეს იმ ქონების მესაკუთრის პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლის საკუთრებაც გამოიყენეს უხამსი ან პორნოგრაფიული ფილმის საილუსტრაციოდ? ამაზე პასუხის საპოვნელად აუცილებელია ამ საკითხის უფრო სიღრმისეულად ჩაშლა. საინტერესოა მაგალითში მოცემულ შემთხვევაში საჭიროა თუ არა მესაკუთრის თანხობა მისი ქონების გამოსახულების ყოველგვარი ექსპლუატაციის დროს და ასეთის საჭიროების შემთხვევაში, როდის შეიძლება მესაკუთრემ აკრძალოს მისი ქონების გამოყენება, თანხმობის გარეშე.

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად მესაკუთრის საკუთრების უფლების აბსოლუტური ხასიათი ვრცელდება ასევე ამ ქონების გამოსახულებაზე, თუმცა შეზღუდული ფორმით. მისი შეზღუდული ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ მესაკუთრეს შეუძლია წინ აღუდგეს თავისი ქონების გამოსახულების ექსპლუატაციას, ხოლო ტურისტული და მსგავსი მიზნებით ფოტო თუ ვიდეო გადაღებას იგი წინ ვერ აღუდგება. ამდენად „საკუთრების ექსკლუზიურბა გვაავალეს ვადიაროთ მესაკუთრის არა მკაცრად ექსკლუზიური უფლება ქონების გამოსახულებაზე, არამედ მხოლოდ საგნის კომერციული ექსპლუატაციის უნებართვო აკრძავლის უფლება.“²¹³ საკუთრებაში იგულისხმება, როგორც მოძრავი და უძრავი ქონება, ისე ცხოველები, ავტომობილი და ა.შ.²¹⁴

ყოველივე ზემოდ თქმულიდან გამომდინარე დასაშვებად უნდა ჩაითვალოს მორალური ზიანის ანაზღაურება, იმ შემთხვევაში თუ ქონების რეპროდუქციის ექსპლუატაცია ხდება იმგვარად, რომ ის იწვევს

²¹² ზარანდია თ., სანივთო სამართალი (მეორე შევსებული გამოცემა), მერიდიანი, 2019, გვ. 215.

²¹³ იქვე, გვ. 217.

²¹⁴ იქვე, გვ. 217.

მესაკუთრეში უარყოფით ემოციებს. ასეთი ზიანი შეიძლება დადგეს ზემოდ მოყვანილ მაგალითში განხილული ვითარების არსებობსიას.

2.3. პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის მოთხოვნის დაუშვებლობა

სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოწვეულია გამონათქვამებით, რომელიც ემსახურება კანონიერი საზოგადოებრივ ინტერესების დაცვას. ასეთი შეიძლება იყოს პოლიტიკური ფიგურის აქტივობა და სხვა.²¹⁵ ამიტომ ასეთი ქმედებით გამოწვეული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება. გამოსახულების უფლების ხელყოფად არ ჩაითვლება ქმედება, რომელიც დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან ან სხვა პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, თუ მისი გამოსახულება მოხვდა საზოგადოებრივ ვითარებაში ვიდეოგადაღებისას, ფოტოგადაღებისას და ა.შ., ან და პირმა პოზირებისთვის მიიღ საზღაური.

პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანის მიმყენებელს ამაში არ მიუძღვის ბრალი²¹⁶. ბრალის ხარისხის და ფორმას პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეს უკანასკნელი მხედველობაში მიიღება ზიანის ოდენობის განსაზღვრისას.²¹⁷ მსგავს დანაწესს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი. მართალია ეს უკანასკნელი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას განამტკიცებს, თუმცა სასამართლო პრაქტიკაში ის მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაშიც გამოიყენება.

²¹⁵ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 24.12.2017, მუხლი 18, ველი 84.

²¹⁶ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი.

²¹⁷ *ბიჭია მ.*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, გვ. 253.

IV. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლებები წარმოადგენენ აბსოლუტურ უფლებებს, რაც მათ განსაკუთრებულ ადგილს აძლევს უფლებათა საერთო იერარქიაში, მათი დაცვა საგანდებოდაა მოწესრიგებული არაერთი ქვეყნის კანონმდებლობაში.²¹⁸ საქართველოში მათ დაცვას კონსტიტუციის მე-10 და 28-ე მუხლები განამტკიცებენ, ამ მუხლებით აღიარებულია ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკურ ხელშეუხებლობის და ჯანმრთელობის უფლებები, მათი ძალით სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის ეს ფუნდამენტური უფლებები და შექმნას ამისათვის საჭირო, მოქმედი, სამართლებრივი მექანიზმები. მსგავს შინაარს შეიცავს გერმანიის კონსტიტუციის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტიც.

ადამიანის ჯანმრთელობა და ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია კერძო სამართლის კანონმდებლობითაც, ამის ერთ-ერთ მაგალითს სსკ-ს 413-ე მუხლის მეორე ნაწილი წარმოადგენს, მსგავსი შინაარსის მატარებელია აგრეთვე გსკ-ს 253-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი. აღნიშნული ორივე ნორმა ითვალისწინებენ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას, ჯანმრთელობის და სხეულის დაზიანების შემთხვევაში, თუმცა სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით გსკ-ს შესაბამისი მუხლი დამატებით განამტკიცებს სექსობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

სიცოცხლის უფლება აღიარებული და დაცულია სხვა და სხვა საერთაშორისო კონვენციებით. ასეთებია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-3 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.²¹⁹ ადამიანის სიცოცხლის უფლების ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შემთხვევა განსხვავდება სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისგან. ამ უფლების დარღვევის შედეგად გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აწესებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 844-846-ე პარაგრაფები, მსგავსი

²¹⁸ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, მუხ. 408, გვ. 454.

²¹⁹ Hunagel M., German perspectives on the Right to life and Human dignity in the “War on Terror”, Criminal Law Journal, 2008, p. 100; (ხელმისაწვდომია:<https://research-repository.griffith.edu.au/bitstream/handle/10072/40298/69502_1.pdf%3Bsequence=1>)

შინაარსის მატარებელია სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი. ამ მუხლებიდან არცერთ მათგანში არ არის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა გათვალისწინებული, რაც იძლევა იმის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანი არ ანაზღაურდება.

1. სხეულის დაზიანება და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება როგორც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობა

სხეულის დაზიანებისა და ჯანმრთელობის ცნება არც გერმანიის და არც საქართველოს კანონმდებლობით განმარტებული არ არის ამდენად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თიოთოეული მათგანის შინაარსი საკანონმდებლო სივრცეში.

სამართლებრივ დოქტრინაში ჯანმრთელობას ორი გაგებას გამოყოფენ - ფართო და ვიწრო. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის ცნების დადგენა სამართალმცოდნეობის საქმე არ არის. ეს სამედიცინო მეცნიერების ფუნქციაა. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებას (1946 წელი) შეესაბამება, აღნიშნული ტერმინი თავის თავში გულისხმობს ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობას და არა მხოლოდ დაავადებისა და უძღურების არსებობას.²²⁰ გერმანული დოქტრინის თანახმად კი ჯანმრთელობის და სხეულის დაზიანება განიხილება უარყოფით ჩარევად ადამიანის ფიზიკურ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ სფეროში.²²¹ ჯანმრთელობა შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება, მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მისი გუნება-განწყობილება, შრომისუნარიანობა, აქტიურობა და ა.შ

სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგიერთ შემთხვევაში არაშრომისუნარიანად აქცევს.²²² სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ აღნიშნული უფლებათა ხელყოფად მიიჩნევა ქმედება, რომელიც ხელყოფს დაზარალებულის სხეულს ან მისი

²²⁰ *ქანთარია ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი მეორე), თბილისი, 2013, მუხ. 37, გვ. 455.

²²¹ *L. Jaeger and J. Luckey*, *Schmerzensgeld* (Münster: ZAP, 2003), p. 43; იხ. ციტირება: *Alieva P.*, *Non-pecuniary damages in the age of personality rights-search for a fair and reasonable framework comparing the German and Italian legal system, 2008-2009*, p. 18; (ხელმისაწვდომია:<https://www.lider-lab.sssup.it/lider/dbfiles/allegati/Wuenssch_Non-pecuniary_damages_in_the_age_of_personality_rights.pdf>)

²²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის N ას-1064-2018 განჩინება.

ორგანიზმის შინაგან პროცესებს.²²³ „ადამიანის ჯანმრთელობის დარღვევა იწვევს ადამიანის სრული კეთილდღეობის დაკარგვას.“²²⁴ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის დაცვის ობიექტს მხოლოდ ფიზიკურ პირი წარმოადგენს, რადგან იურიდიულ პირს არც სხეული და მითუმეტეს არც ჯანმრთელობა არ გააჩნია.²²⁵

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოდ „სხეულის დაზიანება“ და „ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება“, ეს უკანასკნელი უფრო ფართო ცნებაა, სხეულის დაზიანებად კი მხოლოდ ადამიანის სხეულზე მიყენებული გარეგანი, შესამჩნევი დაზიანებები მიიჩნევა, მაგალითად სხეულის დასახიჩრება (ცივი იარაღიდ მიყენებული ჭრილობა, ამის შედეგად დარჩენილი შრამი და ა.შ), ხოლო ადამიანის ჯანმრთელობა თავის თავში გულისხმობს თვალთ უხილავ დაზიანებებსაც, როგორცაა ადამიანის ფსიქიკური აშლილობა გამოწვეული დაშინებით და სხვა მსგავსი შემთხვევები.²²⁶ ჯანმრთელობის დაზიანებად უნდა მივიჩნიოთ ადამიანის სხეულის, მისი ორგანოსა თუ ქსოვილის ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა ანდა პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით.²²⁷

გერმანულ სამართლებრივ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად სხეულის დაზიანება არის წმინდა გარეგანი ზიანი, ხოლო ჯანმრთელობის დაზიანება კი გულისხმობს შინაგანი ფუნქციების დარღვევას. ამ თვალსაზრისით ზიანის ორი ფორმა შეიძლება გამოვყოთ ფიზიკური (დარტყმა, მოწამვლა) ან ფსიქიკური (შოკის შედეგად მიყენებული ზიანი). გერმანიაში სხეულის დაზიანებადაა მიჩნეული აგრეთვე ქალის ნების საწინააღმდეგოდ დაორსულებაც.²²⁸

ერთმანეთისგან განასხვავებენ აგრეთვე დაზიანებას და დაავადებას, დაზიანება არის ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება გარე ფაქტორების ზემოქმედებით, ხოლო დაავადება გულისხმობს ორგანიზმში ბუნებრივად

²²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის N ას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

²²⁴ ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998, გვ. 114.

²²⁵ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბილისი, 2001, მუხ. 1007, გვ. 428.

²²⁶ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა), თბილისი, 2011, გვ. 69.

²²⁷ იქვე, გვ. 70.

²²⁸ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭიკვაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014, პარაგრაფი 823, გვ. 627, ველი 3.

მიმდინარე პათოლოგიური პროცესის შედეგად ჯანმრთელობის გაუარესებას.²²⁹

სისხლის სამართალი ჯანმრთელობის დაზიანების სამ ჯგუფს გამოყოფს: ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება, თუმცა არც გერმანიის და არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მის კლასიფიკაციას სიმძიმის მიხედვით არ აწესებს, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საჭიროა ჯანმრთელობის ან სხეულის დაზიანების არსებობა და არ აქვს მნიშვნელობა მის სიმძიმეს. პიროვნება შედგება სულისა და სხეულისგან, ლოგიკურია რომ პიროვნების დაცვა შესაბამისად გულისხმობს მატერიალური და არამატერიალური სფეროს უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამიტომ ჯანმრთელობის ხელყოფისთვის, პასუხისმგებლობა დაეკისრება ზიანის მიმყენებელს, თუ მისი ქმედება მიმართულია, როგორც სულის, ისე სხეულის საწინააღმდეგოდ, რასაც შედეგად მოჰყვება ფსიქოლოგიური ტრავმა, ნევროზი და სხვა უარყოფითი შედეგი.²³⁰

ზიანის მიმყენებელისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა სსკ-ს 992-ე მუხლით დადგენილი დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობები (მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი და ზიანი), ანუ ჯანმრთელობის ან სხეულის დაზიანება გამოწვეული უდნა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით.²³¹ მას შემდეგ რაც მათი არსებობა დამტკიცდება უნდა დადგინდეს წარმოადგენს თუ არა მორალური ზიანი (ფიზიკური და სულიერი ტანჯვა) ჯანმრთელობის ან სხეულის დაზიანების უშუალო შედეგს.²³² უზენაესი სასამართლოს განმარტავს, რომ 413-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი შედეგის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, რის შედეგად დაზარალებულმა, ასევე განიცადა სულიერი ტანჯვა, ფსიქიკური სტრესი.²³³ სასამართლო პრაქტიკა როგორც წესი მორალური ზიანის ცნებაში სულიერ და ფიზიკურ ტანჯვას მოიაზრებს და არა ფსიქიკურ სტრესს,

²²⁹ *ლეკვიძვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა), თბილისი, 2011, გვ. 70-71.

²³⁰ *Schnellhammer K.*, 2014. Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, samt BGB Allgemeiner Teil, 9. Aufl age, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, S. 706. იხ. ციტირება: *ბიჭია მ.*, გრიგოლ რცხილადის სტატიის- „მორალური ზიანის ანაზღაურების“- ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, N8, 2017, გვ. 79.

²³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის N ას-477-477-2018 განჩინება.

²³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება.

²³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის N ას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

რომელიც არა სამართლებრივ არამედ სამედიცინო ტერმინს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსი 413-ე და 992-ე მუხლების მსგავს რეგულაციას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე და 823-ე პარაგრაფები. საინტერესო მიდგომა არსებობს გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, რომლის მიხედვით თუ პროდუქტმა გამოიწვია ადამიანის სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება მორალურ ზიანი უნდა ანაზრაურდეს მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა პროდუქტის მწარმოებლის ბრალი.²³⁴

2. სიცოცხლის უფლების დარღვევით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზრაურების საკითხი

ადამიანის სიცოცხლის უფლება მისი უზენაესი ღირებულებაა. იგი არა მხოლოდ თავისთავადი სიკეთეა, არამედ სხვა ადამიანური ღირებულებების განმსაზღვრელიც. „სიცოცხლის გარეშე არ არსებობს თავისუფლება, ადამიანის სულიერი, გონებრივი, კულტურული განვითარება თუ ადამიანური ბედნიერება.“²³⁵ სიცოცხლის უფლება ადამიანის აბსოლუტური უფლებაა.²³⁶ სიცოცხლის უფლების ხელყოფა ხდება ადამიანის მოკვლით, გარდაცვალებით. სსკ-ს მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ადამიანი გარდაცვლილად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის მომენტიდან. სსკ-ს 1006-ე მუხლის მიხედვით ზიანის ანაზრაურების მოთხოვნის უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთა მიმართ გარდაცვლილს გააჩნდა სარჩოს გადახდის ვალდებულება. ამ შინაარსის მსგავს დანწეს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 844-ე და 846-ე პარაგრაფები.

არც გსკ-ს 844-ე, 845-ე პარაგრაფებში და არც სსკ-ს 1006-ე მუხლეში არაფერია ნათქვამი არაქონებრივი ზიანის ანაზრაურების შესახებ. პიროვნების გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზრაურება არც გსკ-ს 253-ე პარაგრაფის მეორე ნაწილში და არც სსკ-ს 413-ე მუხლის მეორე ნაწილშია ნახსენები. შესაბამისად ჩნდება კითხვა შესაძლებელია თუ არა არაქონებრივი ზიანის ანაზრაურება ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შედეგად გამოწვეული სულიერი ან ფიზიკური ტკივილის არსებობისას ?.

ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაცულ სიკეთეთა რიცხვს ადამიანის სიცოცხლის უფლებაც განეკუთვნება. ამიტომ გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანი უნდა ანაზრაურდეს ისევე, როგორც ეს ხდება

²³⁴ *Magnus U.*, The Reform of German Tort Law, Working Paper N 127, 2003, Pg. 5. (ხელმისაწვდომია: <<https://www.raco.cat/index.php/InDret/article/view/82541/107387>>)

²³⁵ *გოცირიძე ე.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი მეორე), თბილისი, 2013, მუხ. 15, გვ. 72.

²³⁶ *Gearty C.*, Principles of Human Rights Adjudication, Oxford, 2004, Pg. 9-10.

ჯანმრთელობის და სხეულის დაზიანების შემთხვევაში.²³⁷ ამის საწინააღმდეგოდ გამოთქმულია მოსაზრება უახლეს სამართლებრივ ლიტერატურაში²³⁸, რომლის მიხედვით 413-ე მუხლის მეორე ნაწილით დაცულ სიკეთეთა რიცხვში არ უნდა მოვიაზროთ ადამიანის სიცოცხლის უფლება, რადგან არ არის მასში მოხსენიებული. ამ პოზიციის სასიკეთოდ მეტყველებს ისიც, რომ ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მსგავსი განმარტებას აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, „შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.“²³⁹

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,²⁴⁰ რომელშიც იგი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იზიარებს და საქალაქო სასამართლოს განჩინებას აუქმებს იმ მოტივით, რომ მან არასწორად დააკმაყოფილა ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. აღნიშნული საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ წესთან მოდის წინააღმდეგობაში. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ სიცოცხლის უფლების ხელყოფით ახლო ნათესავებში გამოწვეული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს ახლო ნათესავის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევებს მაინც უშვებს. გერმანული სასამართლოების მიერ დადგენილი წესის თანახმად ახლო ნათესავის (შვილი, მეუღლე და ა.შ.) გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ ფაქტმა მასში იმდენად მძიმე სულიერი ტკივილი გამოიწვია, რომ მის

²³⁷ ჩიკაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თილისი, 1998, გვ. 114; ჩიკაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბილისი, 2001, მუხ. 1006, გვ. 427.

²³⁸ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, www.gccc.ge, 07.10.2017, მუხ. 413, ველი. 6.

²³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის N ას-868-817-2010 განჩინება; ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის N ას-593-568-2016 გადაწყვეტილება.

²⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის N ას-868-817-2010 განჩინება.

ჯანმრთელობაზე ჰპოვა ასახვა. ამდენად ასეთი არამატერიალური ზიანის ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ახლობლის გარდაცვალებამ მოსარჩელეზე იმდენად მძიმე ემოციური გავლენა იქონია, რომ შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის გაუარესება.²⁴¹

განსხვავებული მიდგომა არსებობს ამ საკითხზე ინგლისის კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას იმ შემთხვევაშიც კი თუ ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული სულიერი ტკივილი არ გამოიწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას. ინგლისური სამართლის მიხედვით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის საჭიროა ახლო ნათესავის გარდაცვალების ფაქტი და ამით გამოწვეული მორალური ზიანი,²⁴² თუმცა ახლობლის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ ახლო ნათესავებს გააჩნიათ, რომელთა რიცხვშიც შედიან მშობლები, შვილები და მეუღლე. ინგლისის სამართლის მიხედვით ახლობლის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება აქვთ მხოლოდ გარდაცვლილთან ოფიციალურად დაკავშირებულ პირებს, როგორებიც არიან რეგისტრირებული შვილები, მშობლები და მეუღლე.²⁴³ ამიტომ თუ მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან ან შვილი არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული შესაბამის ორგანოში ის ვერ გახდება სათანადო მოსარჩელე მეუღლის/მშობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის მოთხოვნისას.

საფრანგეთში ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებათა სუბიექტების წრე გაცილებით ფართოა ვიდრე ეს გერმანიაში ან ინგლისშია. საფრანგეთში ასეთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს პირს, რომელიც გარდაცვლილთან არ იყო ოფიციალურად დაკავშირებული (მაგალითად შვილი რომელიც არ არის რეგისტრირებული სათანადო წესით). საფრანგეთის კანონმდებლობა სისხლით ნათესავებს ისეთივე უფლებას აძლევს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, როგორსაც მაგალითად რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს.

საფრანგეთის კანონმდებლობა ზემოდ მოხსენიებული ქვეყნებისგან განსხვავებით ისეთი მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც გამოწვეულია ახლობელი ადამიანის ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანებით. მაგალითად თუ უბედური

²⁴¹ *Lahe J., Kull I.*, Compensation of non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person, *International Comparative Jurisprudence* 2, 2016, p.3;

(ხელმისაწვდომია: <<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351667416300014>>)

²⁴² იქვე, გვ. 3.

²⁴³ *Van Dam C.*, *European Tort Law* (second edition), United Kingdom, 2013, p. 371.

შემთხვევის გამო ადამიანი იმყოფება უგონო მდგომარეობაში ან კომაში მის ახლო ნათესავებს უფლება აქვთ მოითხოვონ მათში ამით გამოწვეული სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვის კომპენსაცია²⁴⁴

გერმანიის სამართლის სისტემა ახლობლის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების კუთხით სხვებთან შედარებით დადებითად უდნა შეფასდეს, რადგან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას საზომად იყენებს არა ნათესაურ კავშირს არამედ ამ უარყოფითი შედეგით გამოწვეულ სულიერ თუ ფიზიკურ ტანჯვას, რაც უფრო სამართლიანია.

²⁴⁴ *Van Dam C.*, *European Tort Law* (second edition), United Kingdom, 2013, p. 371.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომის შეჯამების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული და უცხო ქვეყნების კანონმდებლობა ერთმანეთთან რიგ საკითხებში მოდის შესაბამისობაში, მაგრამ არსებობს გარკვეული განსხვავებებიც. მორალური ზიანი არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიურ ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკური და ზნეობრივი (სულიერი) ტანჯვით. თავისთავად, იგი მნიშვნელოვან ზიანად აღიქმება. მისი ანაზღაურების მთავარ მიზანს და ფუნქციას განცდილი სულიერი ტკივილის შემსუბუქება წარმოადგენს, ამასთან ერთად, მას რეპრესიული და პრევენციული ფუნქციაც აკისრია. სწორედ ეს თვისებები აქცევს ფიზიკურ პირს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ერთადერთ სუბიექტად და იურიდიულ პირს ამ უფლების მიღმა ტოვებს.

ჯერ კიდევ ძველი რომისა და ქართული სამართლის ძეგლები ითვალისწინებდნენ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. მართალია იმ დროში არსებული რეგულაციები ადამიანის მორალურ ინტერესს ანგარიშს ნაკლებად უწევდა, მაგრამ ძირითად საკითხებში არაერთი პარალელის გავლება შეიძლება დღესდღეობით არსებულ და ანტიკურ ეპოქაში მოქმედ „მორალური ზიანის“ ინსტიტუტებს შორის. მაგალითად, სახელგამტეხი ცნობების გავრცელებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებდა როგორც ანტიკური რომის, ისე ძველი ქართული სამართალი, თუმცა ეს უკანასკნელი რომის სამართლისგან განსხვავებით, ზოგიერთ შემთხვევაში, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან ერთად „სასჯელად“ დაზარალებულისათვის ბოდიშის მოხდასაც აწესებდა, რაც უფრო აახლოებს თანამედროვე „მორალური ზიანის“ ინსტიტუტთან.

მორალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ურთიერთობაში თითოეული მათგანის თავისებურებების გათვალისწინებით. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისათვის კანონმდებლობით კონკრეტულ მოთხოვნებთან ერთად დადგენილია ზოგადი სამართლებრივი წინაპირობებიც. დელიქტური ურთიერთობებიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ზოგად მოთხოვნებს საქართველოში სსკ-ს 992-ე მუხლი განამტკიცებს, ხოლო გერმანიაში კი გსკ-ს 823-ე პარაგრაფი. აღნიშნულ წინაპირობებს განეკუთვნება: არაქონებრივი ზიანი; მართლსაწინააღმდეგო ქმედება; ზიანის მიმყენებლის ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი მორალური ზიანი, რომელიც წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, სასამართლოები ზიანის ანაზღაურებისას დიდ ყურადღებას უთმობენ მის მნიშვნელოვნებას. როგორც საქართველოს, ისე გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ მნიშვნელოვანი და დაცვის ღირსი მორალური ზიანი, უმნიშვნელო კი მხედველობაში არ მიიღება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას მხოლოდ გამონაკლისი სახით ითვალისწინებს, რაც ქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევისაგან რადიკალურად განსხვავდება. მისი ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ „კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“ (სსკ-ს მუხ. 413(1)), მსგავს დანაწესს შეიცავს გსკ-ის 253-ე პარაგრაფიც, რაც ამ ორი ქვეყნის სამართლის მსგავსებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. „მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში“ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებშია ზიანის ანაზღაურება დასაშვები. სიტყვა „კანონში“ სამოქალაქო კოდექსთან ერთად სხვა სამართლებრივი აქტებზეც მოიაზრება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სხვა არაერთი ქვეყნის სამართლის მსგავსად, ადგენს მხოლოდ მისი გამოთვლის ზოგად ფორმულას, რაც გარკვეულ პრობლემებს იწვევს სასამართლო პრაქტიკაში. ზოგადი ფორმულის მიხედვით, კომპენსაცია უნდა მოხდეს „სამართლიანი და გონივრული ოდენობით“, ამის დადგენა კი სასამართლოს კომპეტენციაა. მოსამართლე მისი განსაზღვრისას ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტობრივ გარემოებებს, როგორცაა ზიანის სიმძიმე, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის მიერ ზიანის აღქმის სიმძაფრე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა და სხვა.

სსკ-ს მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც მორალური ზიანის კომპენსაციის შესაძლებლობას ადგენს ადამიანის პატივის, ღირსების, სახელის, საქმიანი რეპუტაციის, გამოსახულების და სხვა უფლებათა ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში და ამავე კოდექსის, 413-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფის და სხეულის დაზიანების შემთხვევაში უშვებს მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას, წარმოადგენენ სწორედ ზემოხსენებულ გამონაკლის შემთხვევებს, რა დროსაც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაა დაშვებული. გერმანიაში ასეთი უფლებები დაცულია გსკ-ს 823-ე პარაგრაფით (ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ზოგადი წესის) და გერმანიის

ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის პირველი, მე-2 მუხლებით (ადამიანის პირადი არაქონებრივი უფლებები) და შესაბამისად, გსკ-ს 253-ე მუხლის მეორე ნაწილით (სხეულის დაზიანების, ჯანმრთელობის ან სექსობრივი თვითგამორკვევის ხელყოფის შემთხვევები).

გასათვალისწინებელია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ დაზარალებულს, ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ, სულიერი ან ფიზიკური ტანჯვის კომპენსაციის მოთხოვნა დაუშვებელია მისი მემკვიდრეების და ახლო ნათესავების (ოჯახის წევრების) მხრიდანაც კი. ეს წესი პირდაპირ კანონმდებლობიდან გამომდინარეობს (სსკ-ს მე-19 მუხლი). ასეთი მიდგომა გამართლებულია იმ მოსაზრებით, რომ შეუძლებელია იმის დადგენა, მოითხოვდა თუ არა გარდაცვლილი მორალური ზიანის ანაზღაურებას საერთოდ. ამასთანავე, შეუძლებელია დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ მორალური ზიანის არსებობის დადასტურება, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში სულიერი ან ფიზიკური ტანჯვის სიმძიმის დადგენა.

სსკ-ს 18-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულია პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები. ამ სიკეთეთა რიცხვში შედის უფლებები, რომლებიც ადამიანის პიროვნულობას განსაზღვრავს, ასეთია: პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სახელი, საკუთარი გამოსახულება და სხვა. მათი დაცვა „მორალური ზიანის“ ჭრილში განპირობებულია იმით, რომ პიროვნულობის განმსაზღვრელი უფლებების ხელყოფა ძლიერ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ მდგომარეობაზე.

ოდითგანვე, ადამიანი ზრუნავდა საკუთარ იმიჯზე, პატივზე და ღირსებაზე. ზოგი ამ ყველაფრისთვის სიცოცხლესაც კი თმობდა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათი შელახვა, ისეთი ქმედებით, როგორცაა სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა, სახელის ბოროტად გამოყენება, გამოსახულების თანხმობის გარეშე რეპროდუცირება და სხვა, ადამიანში იწყებს იმგვარ უარყოფით განცდებს, რომელთა დაცვა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტის ჭრილში გამართლებულია. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სსკ-ს მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს, ამიტომ მათი დაცვა სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესის (გსკ-ს 823-ე პარაგრაფი) და გერმანიის კონსტიტუციის (პირველი და მეორე მუხლები) საფუძველზე ხდება.

ჯანმრთელობას საკმაოდ დიდი როლი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანებას ისეთი ხასიათი აქვს, რომ ადამიანს შესაძლებლობას ართმევს იმუშაოს და არჩინოს ოჯახი, ნორმალური ცხოვრების დაკარგვაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ. ყოველივე ამან ადამიანის

ფსიქიკაზე იმგვარი გავლენა შეიძლება იქონიოს, რომ ცხოვრების სურვილი საერთოდ დაკარგოს. მსგავს უარყოფით ემოციებს იწვევს ადამიანის სხეულის დაზიანებაც. სახის არეში გამოკვეთილი და გამოუსწორებელი შრამის დადებამ შეიძლება ადამიანს საკმაოდ დიდი კომპლექსი შეუქმნას. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა საჭიროდ ჩათვალა კანონში გაეთვალისწინებინა მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების შედეგადაა გამოწვეული (სსკ-ს 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ კუთხით სსკ-სა და უცხო ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ იკვეთება. გერმანიაში გსკ-ს 253-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილში სსკ-ს 413-ე მუხლის მე-2 ნაწილისაგან განსხვავებით მორალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია, აგრეთვე სექსობრივი თვითგამორკვევის უფლების ხელყოფის შემთხვევაშიც.

საინტერესოა სიცოცხლის უფლების ხელყოფით გამოწვეული სულიერი ან ფიზიკური ტანჯვის, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხიც. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებელია ამ უფლების ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება, რადგან ეს უკანასკნელი კანონში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ არც გსკ-ს კანონმდებლობაში ფიგურირებს სიცოცხლის უფლებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, ამ ქვეყნის სასამართლოებისათვის ასეთი ზიანის ანაზღაურების შემთხვევები უცხო არ არის. მათი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაცია დასაშვებია თუ სულიერი ტანჯვა იმდენად მძიმეა, რომ იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან დაზიანებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებული მიდგომა არსებობს ინგლისისა და საფრანგეთის კანონმდებლობაში. მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის გამო კომპენსაციის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტთა წრეა. ამ წრის სიდიდის მიხედვით, განსაკუთრებით საფრანგეთის კანონმდებლობა გამოირჩევა, შემდეგ ინგლისის და ბოლოს - გერმანიის. საფრანგეთში მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი ფარგლები იმდენად ფართოა, რომ არა მხოლოდ ახლობლის გარდაცვალებით, არამედ მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შემთხვევაშიც კი შესაძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშიც მოიძებნება გადაწყვეტილებები, სადაც სიცოცხლის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნაა დაკმაყოფილებული. ასევე, სამართლებრივ დოქტრინაშიც გვხვდება ასეთი გადაწყვეტილებების სასიკეთოდ გამოთქმული მოსაზრებები, თუმცა ისინი სამეცნიერო

ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებებსა და უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ წესს ეწინააღმდეგება.

ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია საქართველოში „მორალურ ზიანთან“ დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, ასე თუ ისე, შეესაბამება თანამედროვე სამართლის სტანდარტებს და განვითარებული ქვეყნების მსგავს მოწესრიგებას შეიცავს, სასამართლო პრაქტიკაში მაინც არსებობს ხარვეზები, რასაც გარკვეულ შემთხვევებში გადაწყვეტილებები წინააღმდეგობაში მოყავს ერთმანეთთან. ყოველივე ეს კი მართლმსაჯულების განხორციელებას უშლის ხელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონის დანაწესის არაერთგვაროვანი აღქმის და განმარტების გამო, სასამართლო პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრულია. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არაქონებრივი ზიანის ოდენობის გამოთვლის კრიტერიუმების დადგენას, ისევე, როგორც სიცხოცხლის უფლების ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. მიზანშეწონილია, ამ საკითხთან დაკავშირებით, გერმანიის სასამართლო პრაქტიკის გაზიარება ქართულ სამართალში, რაც შესაძლებელს გახდის ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას, თუმცა გასაგებია საქართველოში ამგვარი შეზღუდვის არსებობა, რომლის მიზანიც არამატერიალური ზიანის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა წრის უსაფუძვლო გაფართოებისგან თავის არიდებაა.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

- ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999.
- ბარამაძე ნ., მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბილისი, 2012.
- ბარამაძე ნ., მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის საფუძვლები, ადამიანი და კონსტიტუცია, N3 , 2005.
- ბიჭია მ., არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი, N3, 2016.
- ბიჭია მ., გრიგოლ რცხილამის სტატიის- „მორალური ზიანის ანაზღაურების“- ანალიზი, სამართალი და მსოფლიო, N8, 2017.
- ბიჭია მ., დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, სამართალი და მსოფლიო, N4, 2016.
- ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016.
- ბიჭია მ., პატივის, როგორც პირადი ცხოვრების გამოვლენის ფორმის, დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი ასპექტები, მეცნიერება და ცხოვრება, N2(10), 2014.
- ბიჭია მ., პატივის სამოქალაქოსამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1(2), 2014.
- ბიჭია მ., პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან, სამართლის ჟურნალი, N1, 2017.
- ბიჭია მ., ღირსების საჯაროსამართლებრივი ცნების მოცულობა, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2014.
- ბურდული ი., გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი მეორე), თბილისი, 2013.
- გამხიტაშვილი ნ., პირადი (არაქონებრივი) უფლებების ხელყოფის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მნიშვნელოვანი განმარტებები), თსუ სამართლის მიმოხილვა (სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი), N1, 2016.

- გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, თბილისი, 2013.
- დოლონაძე ლ., არაქონებრივი (მორალური) ზიანი ცნება, თეუსუ, 2(10), 2010;
(ხელმისაწვდომია:<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/12778/1/Teusu_2010_N2.pdf>)
- ზარანდია თ., სანივთო სამართალი (მეორე შევსებული გამოცემა), მერიდიანი, 2019.
- კივილაშვილი გ., იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა, მართლმსაჯულება და კანონი, N4, 2014.
- კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2014.
- ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი (მეოთხე გამოცემა), თბილისი, 2011.
- ლუთრინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი (მოკლე კონსპექტი), კილურადე ქ., თბილისი, 2011, გვ. 19;
(ხელმისაწვდომია:<<http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-civil-law-articles.pdf>>).
- მესხიშვილი ქ., მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარმოდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხივლის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012.
- მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, 2012.
- ოსაკვე კ., ანგლო-ამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, თ. შოთაძის თარგმანი, თბილისი, 2015.
- საჯაია ლ., ავტორობისა და სახელის უფლება - ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, N1, 2013.
- სურგულაძე ნ., რომის სამართლის ძეგლები (იუსტინიანეს ინსტიტუციები), თბილისი, 2002.
- ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1, 2009.
- შვაბე ი., გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე. ჩაჩანიძის თარგმანი, თბილისი, 2011;

(ხელმისაწვდომია:<<http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-BVerfGE.pdf>>)

- ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 1998.
- ჩიკვაშვილი შ., მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისათვის, სამართალი, N1-2, 2004.
- ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012.
- ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტ. II, თბილისი, 2001.
- ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001.
- ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006.
- ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

უცხო ენაზე:

- Barroso L. R., Here, There, and Everywhere: Human Dignity in Contemporary Law and in the Transnational Discourse, Boston College International and Comparative Law Review, Volume 35, Issue 2, 2012. (ხელმისაწვდომია:<<https://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1681&context=iclr&ei=l SvUff1D8 54AOfjYGwCw&usq=AFQjCNGaV8Y0DgaazpWQfM uFww uDhH 6g&bvm=bv.47534661>>)
- Beverley-Smith H., Ohly A., Lucas-Schloetter A., Privacy, Property and Personality, Civil Law Perspectives on Commercial Appropriation, Cambridge, 2005. (ხელმისაწვდომია:<https://bilder.buecher.de/zusatz/21/21716/21716763_vorw_1.pdf>)
- Cannarsa M., Compensation for personal injury in France, 2002. (ხელმისაწვდომია:<<http://www.jus.unitn.it/cardozo/Review/2002/Cannarsa.pdf>>)

- Dauti A., Compensation for Immaterial (Moral) Damage Due to Violation of Personality Rights in Kosovo, *Acta Universitatis Danubius*, Volume 13, no. 3, 2017.
(ხელმისაწვდომია:<<http://journals.univ-danubius.ro/index.php/juridica/article/view/4385/4297>>)
- Dumbery P., Satisfaction as a Form of Reparation for Moral Damages Suffered by Investors and Respondent States in Investor-State Arbitration Dispute, *Jurnal of International Dispute Settlement*, 2012.
- Gearty C., *Principles of Human Rights Adjudication*, Oxford, 2004.
- Hunagel M., German perspectives on the Right to life and Human dignity in the “War on Terror”, *Criminal Law Journal*, 2008.
(ხელმისაწვდომია:<https://research-repository.griffith.edu.au/bitstream/handle/10072/40298/69502_1.pdf%3Bsequence=1>)
- Lahe J., Kull I., Compensation of non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person, *International Comparative Jurisprudence* 2, 2016.
(ხელმისაწვდომია:<<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351667416300014>>)
- Lawry-White M., Universality and Cosmopolitanism: Some Insights from the World or Moral Damage, *Cambridge Journal of International and Comparative Law*, N (3)3, 2014.
- Litvinoff S., Moral Damages, *Louisiana Law Review*, Volume 38, No. 1, 1977.
(ხელმისაწვდომია:<<https://digitalcommons.law.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4310&context=lalrev>>)
- Lowisch M., New Law of Obligations in Germany, *Rirsumeikan Law review*, No. 20, 2003.
(ხელმისაწვდომია:<<http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred141.pdf>>)
- Magnus U., The Reform of German Tort Law, Working Paper N 127, 2003.
(ხელმისაწვდომია:<<https://www.raco.cat/index.php/InDret/article/view/82541/107387>>)
- Markesinis B., Coester M., Alpa G., Ullstein A., *Compensation for Personal Injury in English, German and Italian Law*, New York, 2005.

- Mattiacci D., The Economics of Pure Economic Loss and The Internalisation of multiple externalities, German Working Papers in Law and Economics, Volume 2003, paper 5, 2003. (ხელმისაწვდომია:<<https://core.ac.uk/download/pdf/6541010.pdf>>)
- Nechay O. D., Peculiarities of Compensation for Moral Damage in Unconventional Obligations, the Jurnal of Eastern European Law, N47, 2018. (ხელმისაწვდომია:<http://easternlaw.com.ua/wp-content/uploads/2018/01/nechay_47.pdf>)
- Nolan D., Damage in the English Law of Negligence, 4 Jurnal of European Tort Law, 2013. (ხელმისაწვდომია:<https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3098802>)
- Palmer V.V., The Recovery of Non-Pecuniary Loss in European Contract Law, Cambridge, 2015.
- Popovici V., Contribution to the Study of Moral Damage and Its Repair in Romanian Civil Law, Annals Constantin Brancusi U. Targu Jiu Juridical Sci. Series 103, 2015.
- Schlechtriem P., Non-Material Damage-Recovery Under The CISG?, Peace International Law Review, Volume 19, 2007, p. 3-4.
- Shelton D., Remedies in International Human Rights Law, United Kingdom, 1999. (ხელმისაწვდომია:<https://books.google.ge/books?id=obmYCgAAQBAJ&pg=PA452&lpg=PA452&dq=remedies+in+international+human+rights+law+dinah+shelton+1999&source=bl&ots=qVIvk3Fhua&sig=ACfU3U2i_Sxe9ZIfCRfRld7OJSFhj_XhGA&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwilmfC2_5jjAhWD6qYKHZiWDMs4ChDoATAAegQICBAB#v=onepage&q=remedies%20in%20international%20human%20rights%20law%20dinah%20shelton%201999&f=false>)
- Sobczak F., A Comparison between Dutch and English Laws with Regard to the Problem of Multiple Causation in Asbestos-Related Cases, European Review of Private Law, Volume 18(6), 2010. (ხელმისაწვდომია:<[https://www.beeradvocaten.nl/pdf/FS_Publication_ERP_L_2010_18\(6\)_Proportionality_in_Tort_Law.pdf](https://www.beeradvocaten.nl/pdf/FS_Publication_ERP_L_2010_18(6)_Proportionality_in_Tort_Law.pdf)>)
- Van Dam C., European Tort Law (second edition), United Kingdom, 2013.
- Von Bar C., The Interaction of Contract Law and Tort and Property Law in Europe, Munich, 2004.

(ხელმისაწვდომია:<https://zodml.org/sites/default/files/%5BChristian_Von_Bar%2C_Ulrich_Drobni%5D_The_Interaction_0.pdf>)

- Wilcox V., A Company's Right to Damages for Non-Pecuniary Loss, United Kingdom, 2016.
- Youngs R., English, French & German Comparative Law, New York, 2014.
- Саргис С. Г., Возмещение Морального ушерба в Резултате Неправомерных Действий Медицинских Работников, История, философия, экономика и право, Н. 2, 2015, с. 3.
(ხელმისაწვდომია: <<http://იფაპ.რფ/>>)

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 01 მაისის N ას-113-108-2014 გადაწყვეტილება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის N ას-1064-2018 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 23 დეკემბრის Nას-543-518-2016 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის N ას-979-940-2014 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის N ას-1011-972-2016 გადაწყვეტილება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 სექტემბრის N ას-1052-1007-2014 გადაწყვეტილება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 დეკემბრის N 3კ/924-01 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 25 იანვრის N ას-1268-2018 განჩინება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის N ას-786-753-2016 განჩინება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის N ას-113-108-2014 გადაწყვეტილება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის N ბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილება.

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის N ას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2014 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის Nას-660-660-2018 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 09 ნოემბრის Nას-823-1109-09 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის Nას-155-145-2017 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის Nას-1105-2018 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 04 აპრილის Nას-1322-2018 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 18 იანვრის N3კ/1184-01 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 08 აპრილის Nბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის Nას-979-940-2011 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 14 ივნისის Nას-95-90-2013 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის Nას-1154-2018 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 17 ნოემბრის N2ბ/2774-11 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 25 ივნისის Nას-894-1514-04 განჩინება.
- საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 06 იანვრის N2ბ/7243-15 გადაწყვეტილება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მარტის Nას-569-540-2014 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 დეკემბრის Nას-1428-2018 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის Nას-1452-2018 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 7 მაისის Nას-1857-2018 განჩინება.

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის Nას-341-319-2017 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 12 ნოემბრის Nას-1064-2018 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 იანვრის Nას-477-477-2018 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის Nას-868-817-2010 განჩინება.
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის N ას-593-568-2016 გადაწყვეტილება.

უცხო ენაზე:

- Judgment of the General Court (Fourth Chamber) of 29 April 2015 Case: T-217/11, Claire Staelen v European Ombudsman.
(ხელმისაწვდომია:<<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1562498451241&uri=CELEX:62011TJ0217>>)
- Judgment of the General Court (Third Chamber) of 16 December 2010, Systran SA and Systran Luxembourg SA v European Commission, Case T-19/07.
(ხელმისაწვდომია:<<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1562501431070&uri=CELEX:62007TJ0019>>)

ნორმატიული მასალა:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
(ხელმისაწვდომია:<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=102>>)
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.
(ხელმისაწვდომია:<https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/>).
- საქართველოს კონსტიტუცია.
(ხელმისაწვდომია:<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>>)
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი.
(ხელმისაწვდომია:<http://www.gesetze-im-internet.de/englisch_gg/>)
- საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“.

(ხელმისაწვდომია<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6#!>>)

- გაერთიანებული ერების კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (CISG).
(ხელმისაწვდომია:<<https://www.uncitral.org/pdf/english/texts/sales/cisg/V1056997-CISG-e-book.pdf>>)

ინტერნეტ რესურსები:

ქართულ ენაზე:

- რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 03.10.2017, მუხ. 408.
- რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 07.10.2017, მუხ. 413.
- ჯორბენაძე ს., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, www.gccc.ge, 24.12.2017, მუხ. 19.

უცხო ენაზე:

- Tepeš N., Non-material Damages Arising Out of The Breach of Contract and interpretation of Article 74 CISG, 2016.
(ხელმისაწვდომია:<http://www.arbitrationassociation.org/wpcontent/uploads/2017/07/671_695.pdf>)
- Principles of European Contract Law (PECL).
(ხელმისაწვდომია:<https://www.trans-lex.org/400200/_pecl/#head_145>)
- Principles of International Commercial Contracts (PICC).
(ხელმისაწვდომია:<<https://cisgw3.law.pace.edu/cisg/principles.html#NR121>>)